პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეორე.

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცააკის ორგანო.

რედაქცია: თბილისი, კრუზენ. ქ. № 4. მე 3 სართული
მთავარი კანტორა: თბილისი, რუსთაველის პრ. № 24 მე-2 სართული ტელეფ. 5—48

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.

ტელეფ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივნის—19

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 100.000 მ. ქ. ბ. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 625 მ. 1922 წ. ნიშნებით. განცხადება—10 სტ. მ. ნონპარელის სტრიქონი, სამგლოვიარო განცხადება 300 ათ. მ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დღიური

— დღეს ბაქოში გაიხსნება ამიერ კავკასიის საბჭოთა ყრილობა.

— კომინტერნში: ზინოვიევის სიტყვა კომინტერნის მოღვაწეობის შესახებ და აღმასკომის პრეზიდიუმის არჩევნები.

— ჩიჩერინის დეკლარაცია.

— ამერიკის „ზედამხედველი" თანდათან მეტ მონაწილეობას იღებს ლოზანის კონფერენციაზე.

— ჩიჩერინსა და იზმეტ ფაშას შორის სრული თანხმობაა.

№ 284 კვირა, 10 დეკემბერი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5,000 მან. № 284

დღეს ბაქოში იხსნება ამიერ-კავკასიის საბჭოთა ყრილობა.

საქართველოს მშრომელი მასები მიესალმებიან მას.

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ფედერაციას!

გაუმარჯოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების ძმურ კავშირს!

დღევანდელი გაზეთის № შეიცავს 6 გვერდს.

ცენტრალური კომისია

საქართველოს კომპარტიის პერერეგისტრაციის, გაწმენდის და პირად შემადგენლობის გადასინჯვისა

ანკეტებს, 10 დეკემბრისთვის ადგილებზე წმენდას დასრულებულათ. ცენტრალური კომისია განაგრძობს მუშაობას მხოლოდ სამაზრო გამწმენდ კომისიების მასალების მისაღებათ.

ამიერ-კავკასიის საბჭოთა ყრილობა

დღეს, 10 დეკემბერს ბაქოში იხსნება ამიერ-კავკასიის საბჭოების ყრილობა.

დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები: ამიერ კავკასიის ფედერაციის კონსტიტუცია, ამიერ-კავკასიის საკავშირო აღმასრულებელ კომიტეტის და მთავრობის არჩევა და საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი.

ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციას უკვე ცხრა თვის ისტორია აქვს; მშრომელთა ნებისყოფის თანახმად, მას ამა წლის მარტში ჩაეყარა საფუძველი.

მაშინაც ყავდა და ეხლაც ყავს ჩვენს ფედერაციას მოწინააღმდეგენი.

ესენი არიან ერთი მხრივ მენშევიკები, მემარჯვენე ფედერალისტები და ყველა ჯურის კონტრ-რევოლიუციონერები, რომელნიც სასიცოცხლოთ არიან დაინტერესებულნი მშრომელ მასსების ძალების დაქსაქსვაში, ამ გზით პროლეტარიატის დიქტატურის დამხობაში. ისინი ებრძვიან სწორედ მუშათა კლასის დაკავშირებას, მის ერთიან ფრონტს, რომელიც ლახვარს სცემს მათ, ძირშივე ახშობს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ მათ შავ განზრახვებს. სამაგიეროდ, ეს რეაქციონური პარტიები მომხრენი არიან ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების კავშირის, თუ თვით იქნებიან მათში გაბატონებულნი, თუ თვით იქნებიან ცხოვრების მესაჭენი და ხელმძღვანელნი.

როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ამიერ-კავკასიის ყოფილმა მთავრობებმა, რომელნიც რკინის ცოცხით გაძევა მშრომელ ხალხმა თავის სამფლობელოდან, შარშან პარიზში დაადგინეს აღნიშნულ რესპუბლიკების კავშირის შექმნა.

მენშევიკების კონტრ-რევოლიუციონურ მუშაობის შესახებ ამას წინად გამოქვეყნებულ მასალებიდანაც სჩანდა, რომ საბჭოთა ხელისუფლებისაგან კავკასიის „განთავისუფლების" შემდეგ „განმათავისუფლებელთა გეგმით", კავკასია უნდა წარმოადგენდეს ფედერატიულ რესპუბლიკას. აქედან ცხადია, რომ მემარჯვენე პარტიების ლაშქრობას საბჭოთა ფედერაციის წინააღმდეგ, თითქო ეს ფედერაცია სთელავდეს საქართველოს ნაციონალურ ინტერესებს და ეკონომიურის თვალსაზრისითაც ის სასარგებლო იყოს მხოლოდ მეზობელ რესპუბლიკებისათვის და საზიანო ჩვენი ქვეყნისათვის,— სარჩულად უდევს უაღრესად კლასიური მომენტი.

რომ სწორედ საქართველოს პოლიტიკური სამეურნეო ინტერესების თვალსაზრისითაც ეს ფედერატიული კავშირი მიზანშეწონილი და ხელსაყრელი მოვლენაა, ეს თვალსაჩინოდ ცხადყო ამიერ-კავკასიის ფედერაციის ცხრა თვის პრაქტიკამ. ამ ფედერაციამ განამტკიცა ჩვენი რესპუბლიკის არსებობა და მეტი რესურსები და შესაძლებლობა მოგვცა დანგრეულ ეკონომიკის აღსადგენად და ქვეყნის საწარმოო ძალების განსავითარებლად.

რომ რესპუბლიკების კავშირი ყოველმხრივ საჭიროა და აუცილებელი ჩვენი ქვეყნისთვისაც, ამას არა მარტო ჩვენ ვხედავთ, ჩვენი მტრებისათვისაც არ წარმოადგენს ეს საიდუმლოებას.

ქვემოდ ვაქვეყნებთ მენშევიკურ მთავრობის მინისტრის და მენშევიკური პარტიის თვალსაჩინო ხელმძღვანელის ნ. ხომერიკის დღიურს, რომელშიც გადაჭრითაა აღიარებული კავკასიის გაერთიანების აუცილებლობა, საქართველოს ეკონომიურ-ფინანსიური და პოლიტიკური ინტერესების თვალსაზრისით. ბ. ხომერიკს ეს მიაჩნია ერთ-ერთ გამოსავლად იმ მძიმე მდგომარეობიდან, რომელშიაც ჩავარდა განკერძოებული საქართველო.

მხოლოდ, ვიმეორებთ, ხომერიკისა და მის თანამოაზრეებისათვის ფედერატიული კავშირი მისაღებია მხოლოდ მაშინ, როცა ისინი იქნებიან ქვეყნის სვე-ბედის გამგენი.

მაგრამ განა ეს იმას ამტკიცებს, რომ ეს ფედერაცია გამოუსადეგარია სხვა შემთხვევაში, სახელდობრ მშრომელთა ბატონობის დროს პირიქით, საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი არასოდეს ყოფილა ისე აუცილებელი, როგორც ეხლა, როცა ჩვენ ისევ ვიმყოფებით ბურჟუაზიულ-იმპერიალისტურ სახელმწიფოების რკალში და იძულებული ვართ ჩვენს აღმშენებლობაში მარტო საკუთარ საშვალებებს დავეყრდნოთ და რომ ფედერაციამ მართლა პირნათლად შეასრულოს მაზე დაკისრებული ამოცანები და დამყარებული იმედები, საჭიროა მისი უფრო მეტი განმტკიცება და ჩამოყალიბება. და ამისათვის ერთი აუცილებელი ნაბიჯია ამიერ-კავკასიის ფედერაციის კონსტიტუციის გამომუშავება.

სამივე რესპუბლიკის საბჭოთა დელეგაციების კონფერენციამ წინედ მიიღო მხოლოდ ფედერაციის ძირითადი დებულება. ეს საკმაო არ არის. სახელმწიფოებრივ და სამეურნეო ცხოვრების ნორმალურად წარსამართავად აუცილებელია ფედერატიულ და რესპუბლიკანურ ხელისუფლების კომპეტენციის მკაფიოდ განსაზღვრა. მათი უფლებების, მოვალეობათა, ფუნქციების მარტივ მუხლებში ჩამოსხმა. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვერ ავიცილებთ ფუნქციების აღრევას, რასაც არ შეიძლება უარყოფითი გავლენა არ ჰქონდეს რესპუბლიკების ცხოვრების განვითარებაზე. ამიერ-კავკასიის ფედერაციის შექმნის დროიდან საკმაო დრომ განვლო, პრაქტიკული გამოცდილება მოგვეპოვება, რომლის მიხედვით შეიძლება რესპუბლიკების მოთხოვნილებებთან შეფარდებულ მტკიცე კონსტიტუციის შედგენაც. და ჩვენ ეჭვი არ შეგვდის, რომ ამ დიდ საქმეს ბაქოში შეკრებილი ყრილობა შესაფერი სიფრთხილით მოუდგება.

მეორე მთავარი საკითხი, რომელიც უნდა განიხილოს ხსენებულმა ყრილობამ, ესაა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი.

ამ კავშირის აუცილებლობის და მიზანშეწონილობის წინააღმდეგ არავინ ილაშქრებს, გარდა რა თქმა უნდა, მშრომელი ხალხის უბოროტეს მტრებისა. ცხოვრების გარდაუვალმა ლოღიკამ კიდეც შექმნა ფაქტიურად ისეთი მდგომარეობა, რომ ჩვენ რუსეთის ფედერაციასთან ვიმყოფებით მჭიდრო ურთიერთობაში.

მხოლოდ ზოგიერთ მცირე ჯგუფებს თუ კერძო პირებს უკეთესად მიაჩნიათ ამიერ-კავკასიის ფედერაციის გაუქმება და საქართველოს უშუალოდ შესვლა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში.

მაგრამ ვინც იცნობს ამიერ-კავკასიის მდგომარეობას, მის განსაკუთრებულ პირობებს, და ამასთან გულწრფელად მოწადინებულია აქ მუდმივი მშვიდობიანობის და მხარის ეკონომიურ აყვავების,— დაგვეთანხმება, რომ აუცილებლად საჭიროა ამიერ-კავკასიის მასშტაბით არსებობდეს ხელისუფლებაც გაერთიანებულ ორგანოების, რომელნიც ფხიზელ დარაჯად ედგომებიან ამიერ კავკასიაში ნაციონალურ მშვიდობიანობას და საერთო ძალღონით მოაწესრიგებენ სამივე რესპუბლიკისათვის მნიშვნელოვან სამეურნეო თუ სხვა საქმეებს.

ბაქოს ყრილობა იტყვის თავის ავტორიტეტულ სიტყვას. და ეს სიტყვა იქნება: ამიერ-კავკასიის ფედერაცია მისი მტკიცე კონსტიტუციით და ამ ფედერაციის საშუალებით ჩვენი სამივე რესპუბლიკის შესვლა საბჭოთა რესპუბლიკების საერთო ოჯახში.

ჩვენ არ გვესაჭიროება იმაზე ლაპარაკი, რომ ამიერ კავკასიის კონსტიტუციის მიღებას და საბჭოთა რესპუბლიკების საერთო კავშირის შექმნის დროს მაქსიმალურად იქნება დაცული ცალკე რესპუბლიკების ნაციონალური უფლებები და ინტერესები. და სწორედ ეს კავშირი უზრუნველყოფს ცალკე რესპუბლიკების ნაციონალურ-კულტურულ განვითარებას.

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის საბჭოთა ყრილობას!

გაუმარჯოს საბჭოთა რესპუბლიკების ძმურ კავშირს!

მენშევიკების აღსარება

როდესაც ამიერ კავკასიის მთელ სივრცეზე საბჭოთა ხელისუფლება გავრცელდა და წითელმა ინტერნაციონალისტურმა დროშამ დაიკავა ადგილი სამფეროვანის: ნაციონალისტური და შოვინისტურის, ბუნებრივია დღის წესრიგში უნდა დასმული ყო საკითხი საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების. მოსაზრება ეკონომიური, მოსაზრება პოლიტიკური და სამხედრო ხასიათის აუცილებლათ ხდიდა ძალთა კოორდინაციას და შეკუმშვას, რათა შესაძლებელი ყოფილიყო ძლიერი ერთეულის შექმნა, რომელიც დასძლევდა ჩვენი მხარის სამეურნეო კრიზისს, გამოიყვანდა მას გაჯანსაღების გზაზე და დაუპირდაპირებდა გარემოცულ რკალს მტრებისას. თუ ამ გამაერთიანებელ მუშაობას ჰქონდა უაღრესათ გამამართლებელი ობიექტიური პირობები როგორც ეკონომიურ ისე პოლიტიკურ სფეროში, მას გააჩნდა არა ნაკლებ მნიშვნელოვანი დაბრკოლებანი და მათ შორის არა უკანასკნელი ადგილი ეკავა და უკავია რამდენიმეთ დღესაც იმ ერთა სიძულვილისა და უნდობლობის ატმოსფერას, რომლის კულტი გააძლიერეს ნაციონალისტურმა პარტიებმა ჩვენ რესპუბლიკებში. საქართველოს მენშევიკები გახლდათ პირველნი მათ შორის.

მას შემდეგაც, რაც ახალმა ხელისუფლებამ სძლია ეს უნდობლობა და გაფანტა რამოდენიმეთ მაინც თუ საბოლოოთ ჯერ კიდევ არა, მოხსამული ჰაერი ამიერ-კავკასიის ერთა ურთიერთობაში და საფუძველი ჩაუყარა ძმურ კავშირს ამ ერებისას— ბნელი ძალები კვლავ განაგრძობენ სისინს და დამოუკიდებლობის ვითომ და დაკარგვის მომიზეზებით ჯვაროსნულ ომს აწარმოებენ კომუნისტების წინააღმდეგ.

რომ განცალკევებულათ „დამოუკიდებლათ" არსებობა ამ ქვეყნებს არ შეეძლოთ—ამაში ყველა ეს ვაჟბატონები ღრმათ დარწმუნებული იყვნენ და არიან დღესაც. თუ ამას ისინი აშკარათ და გაბედულათ ვერ ლაპარაკობდნენ, მაგიერათ ამას ფიქრობდენ და ამ გზითაც მიდიოდნენ. ხოლო ამ მიმართულებით სიარულმა მათ თავი ამოაყოფია იმპერიალისტების ზანაკში მას შემდეგ, რაც განუწყვეტელ ომებში სისხლით შელეზეს ამიერ კავკასია. საბჭოთა ხელისუფლება კი იცავს ამ დამოუკიდებლობას იმპერიალისტებისაგან ერთი გზით: ყველა საბჭოთა რესპუბლიკების მჭიდრო ძმური გაერთიანებით და მშრომელთა ერთ ზანაკში შედუღებით.

ბ. ნ. ხომერიკის დღიურიდანაც, რომელიც ჩვენ ხელთ არის დღეს, მასალების გამოქვეყნებით ცხადი ხდება ზოგიერთებისათვისაც თუ როგორი იყო შექმნილი მდგომარეობა ისეთი მხარისთვის, როგორსაც წარმოადგენს ამიერ-კავკასია და მისი რესპუბლიკები. ან გაერთიანება ამიერ-კავკასიის, უკიდურეს შემთხვევაში მისი საფინანსო და საბაჟო პოლიტიკის, ან იმპერიალისტური ქვეყნების ლუკმათ გადაქცევა—ამ შესაძლებლობათა შორის მათ დაჰგმეს პირველი, ირჩიეს მეორე; გააჩაღეს ომები შიგნი, აწარმოვეს მორიგების და ზავის პოლიტიკა იმპერიალისტურ ძალების მიმართ, რომელთა კარნახით ისინი საბჭოთა რუსეთის ჯალათის როლსაც ასრულებდნენ, რაც საბოლოოთ მათ არ დასცალდათ.

დღესაც, დამარცხებულნი ამ გზაზე, ისინი კვლავ ცდილობენ შორიდან შემოვლით, იმპერიალისტური ძალების დახმარებით, ამიერ-კავკასიის დაბრუნებას. თუ წინედ მათ ვერ მოახერხეს ამიერ-კავკასიის კავშირის შექმნა აქ ყოფნის დროს, დღეს უკვე აგროვებენ საჭირო ძალებს ამ მიზნისთვის. შარშან ნაციონალისტური ამიერ-კავკასიის ყოფილი მთავრობის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს პარიზში კავშირის ხელშეკრულებას და მას აქეთ განაგრძობენ ამ „გამაერთიანებელ" მუშაობას. მაგრამ ცხადია ძალთა განწყობილების დღევანდელ პირობებში ეს არის „საღვთო კავშირი" დღეს არსებული საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის წინააღმდეგ, რეაქციის კავშირი რევოლიუციის წინააღმდეგ.

მაგრამ ფუჭია მათი ცდა!

მშრომელი მასები ჩვენი რესპუბლიკების, გაერთიანებულნი საერთო მიზნით და ბედ იღბლით, ერთი სულისკვეთებითა და ორგანიზაციით, საკადრის პასუხს გასცემენ თავიანთ შავ მტრებს და ეს პასუხი იქნება საბოლოოთ თავზარდამცემი და გამანადგურებელი ჩვენი მტრების.

ახალგაზრდათა კომკავშირის კონფერენციის შედეგები

ამ დღეებში დასრულებული კონფერენცია საქ. ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირისა უეჭველათ ღირსია დიდი ყურადღების. ის საქმიანობა, თავიდან ბოლომდე ახასიათებდა კონფერენციას. ცხოვრებაში სისწორით გატარება კონფერენციაზე მიღებულ დადგენილებათა გაამაგრებს და წინ წასწევს ყოველმხრივ როგორც თვით კავშირს, აგრეთვე დიდ დახმარებას გაუწევს კომპარტიასა და საბჭოთა ხელისუფლებას. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ასეთი შინაარსიანი თათბირი, როგორც ეს პირველი კონფერენცია იყო ჯერ არ ახსოვს საქართველოს კომუნისტურ კავშირს ლეგალობის მთელ პერიოდში. რა არის უმთავრესი მომენტები, კონფერენციის მუშაობაში, რომლებიც იპყრობენ ჩვენს ყურადღებას?—ისინი მრავალია. აღვნიშნავთ მხოლოდ უმთავრესს.

პირველი, რომლისთვისაც უპირველესი ყურადღება უნდა მიექცია კონფერენციას—იყო ორგანიზაციული აღმშენებლობის კითხვები, სათანადო ზომების გამომუშავება კავშირის მუშაობის საჭირო სიმაღლეზე დასაყენებლათ. კავშირის მეორე ყრილობამ საჭიროთ დაინახა ორგანიზაციული აპარატის განმარტივება და მიიღო ორგანიზაციის ახალი დებულება.

ახალი ორგანიზაციული სტრუქტურა კავშირმა ბევრათ ადრე შემოიღო, ვინემ პარტიამ. რაიონული კომიტეტების გაუქმება, მათი დატოვება მხოლოდ სამრეწველო და ნახევრათ სამრეწველო რაიონებში, სათემო კომიტეტების ორგანიზაცია და შექმნა სამაზრო კომიტეტებთან ინსტრუქტორთა კადრის—აი უმთავრესი შესწორებანი ძველ ორგანიზაციულ აპარატში. კონფერენციამ სიამოვნებით აღნიშნა ის დადებითი შედეგები, რომელიც მოიტანა ორგანიზაციული აღმშენებლობის ახალმა კურსმა.

მომავალ მუშაობისათვის კონფერენციამ გამოიმუშავა მოკლეთ შემდეგი ღონისძიებანი: კავშირის მუშური ნაწილისთვის უდიდესი ყურადღების მიქცევა, რათა არა პროლეტარულ ელემენტების შემოსვლით, კავშირმა სხვა სახე არ მიიღოს. მუშაობის არა იმდენათ გაფართოვება, რამდენათ გაღრმავება მისი. უფრო მჭიდრო კავშირი კომპარტიასთან, რათა ამ გამოცდილ მასწავლებლის ხელი ყველგან აჩნდეს.

უპარტიო ახალგაზრდობაში მუშაობის გაძლიერება, ცეკას დირექტივების უცვლელათ გატარება ცხოვრებაში, მონაწილეობის მიღება საბჭოთა მუშაობაში (საბჭოთა მეურნეობაში, კოოპერაციაში და სხვა), ახალი წევრების ძლიერ ცოტა მიღება და მიღების დროს უმთავრესი ყურადღების მიქცევა მუშათა ახალგაზრდობისთვის.

შემდეგი საყურადღებო კითხვა კონფერენციის მუშაობაში იყო—მუშათა ახალგაზრდობის შრომის, მდგომარეობის და განათლების შესახებ მიუხედავათ იმისა, რომ ამ კითხვას ყოველთვის დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი კავშირის მუშაობაში, მაინც კითხვა მწვავეთ დგას და თხოულობს კიდევ მეტ ყურადღებას, თუ გვინდა, რომ მუშათა ახალგაზრდობა საბჭოთა მეურნეობის, ეს მომავალი აღმშენებლები, ახალი ეკონომიური პოლიტიკის უარყოფითმა მხარეებმა თავის კლანჭებში არ მოიმწყვდიოს.

მუშათა ახალგაზრდობისთვის დაწესებულია 4—6 საათის სამუშაო დღე, მცირეწლოვანთათვის სახელდობრ 14 წლამდე სავსებით აკრძალულია მუშაობა, ამისთვის არსებობს შრომის ინსპექტორები ასისენტები, მაგრამ შრომის ნორმების დარღვევა ხშირია, ის 90 პროცენტს აღწევს. მუშათა ახალგაზრდობისთვის დაარსებულია რამოდენიმე სკოლა, მათი უმუშევრობის წინააღმდეგ საბრძოლველად შრომის ბირჟასთან დაარსებულია ახალგასრდათა სექცია, რომელიც გზავნის თვეში 250 მდე უმუშევარს, უმუშევარ ახალგაზრდებს ეძლევა დახმარება, მაგრამ მიუხედავათ ამისა თბილისში 1650 უმუშევარი ახალგაზრდაა, მთელ რესპუბლიკაში კი სამი ათასამდე აღწევს, მათი მდგომარეობა ძლიერ ცუდია, და ხშირად აუტანელიც. ამიტომ კონფერენციამ მოითხოვა დაუყონებლივ შემდეგი ზომების მიღება ამ მოვლენის წინააღმდეგ: უმუშევართ ახალგაზრდათა სახლების დაარსება, საქარხნო საფაბრიკო შეგირდების კიდევ სამი სკოლის დაარსება თბილისში, გადაკეთება სახელოსნო სკოლების ფოთში და ბორჯომში, მუშა შეგირდების სკოლების გამრავლება, ქუთაისის სკოლის მსგავსათ მუშა ახალგარდობისთვის დაწესებულ 4—6 საათის სამუშაო დღის სასტიკათ დაცვა, ხელფასის დაახლოვება მოზრდილთა ხელფასთან, წარმოების მავნე დარგებში ახალგაზრდათა შრომის საბოლოოთ აკრძალვა, წარმოების სხვა დარგებში მუშათა ახალგაზრდობისთვის გარკვეული პროცენტის განსაზღვრა და სხვ.

არა ნაკლებ საყურადღებო შეიქნა კონფერენციისათვის მოსწავლე ახალგაზრდობის და ბავშთა აღზრდის კითხვები. არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ ორივე ეს კითხვა სხვა და სხვა მიზეზების გამო ნაკლებ საზრუნავ საგანს წარმოადგენდა კომუნისტურ კავშირისთვის. საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგენი ეპატრონებიან მათ დღემდე. სკოლა მხოლოდ ფორმით არის დღეს საბჭოების, მხოლოდ შინაარსით—კონტრ რევოლიუციონური საქმიანობის ბუდეა; მოსწავლე ახალგაზრდობა კონტრ-რევოლიუციონური პარტიების ბრმა იარაღი შეიქნა. ასეთი მდგომარეობის გაგრძელება შეუძლებელია. კონფერენცია მოითხოვს სკოლის აუცილებლათ დაპყრობას. ამისათვის კი მისი აზრით საჭიროა: კომუნისტური მუშაობის და აგიტაცია-პროპაგანდის გაძლიერება სკოლებში კავშირის კოლექტივების საშუალებით, მუშათა ფაკულტეტების გამრავლება და მათი დაახლოება უმაღლეს სასწავლებლებთან, მათზე გავლენის გასავრცელებლათ. უმაღლესს სასწავლებლების გაწმენდა, მათი განთავისუფლება კონტრ-რევოლიუციონურათ განწყობილ და მავნე ელემენტებისაგან, საშუალო სასწავლებლებთან მუშათა და გლეხთა მასსისთვის საღამოს კურსების დაარსება, მოკლე ვადიან საპედაგოგო კურსების მოწყობა შრომის სკოლების წითელი პედაგოგების გამოსაშვებათ, შექმნა ტეხნიკუმებში კლუბების, მათი გადაქცევა პოლიტიკურ განმანათლებელ მუშაობის კერათ. ბავშვთა მოძრაობის და მათი ფიზიკურათ გაჯანსაღების საუკეთესო საშუალებათ მიჩნევა ახალი სპორტიული საზოგადოების „სპარტაკის", რომელიც შეიქმნა ძველ, უვარგის სპორტიულ ორგანიზაციების ნანგრევებზე. ქუჩის გამხრწნელ გავლენისაგან მოზარდი თაობის ხსნა. ამ მიზნით უნდა გამრავლდეს ბავშვთა თავშესაფარნი, სახლები და ბაღები. იქ სადაც კი თავმოყრილია ბავშვთა მასები, უნდა წარმოებდეს ფართე კომუნისტური აღზრდა.

კონფერენციამ ამ ნაირათ გაამართლა იმედები, ის უაღრესად საქმიანი გამოდგა, მხოლოდ მის დადგენილებების ცხოვრებაში გატარება კიდევ უფრო გაზრდის მის მნიშვნელობას.

დ. გ.

რას უმალავდნენ მენშევიკები საქართველოს მშრომელ მასებს*)

5 მარტი 1919 წ.

წუხელ ცენტრალური კომიტეტის კრება იყო. ი. ფ... მოხსენება გააკეთა ჩვენს ეკონომიურ და ფინანსიურ მდგომარეობაზე. საშინელი სურათი დახატა. საქართველოს რესპუბლიკას არ შეუძლია დამოუკიდებლად არსებობა, ის რომელიმე ქვეყნის მფარველობისა და მზრუნველობის ქვეშ უნდა იყოს. ამას აიძულებს მას არა მარტო სამხედრო სისუსტე, არამედ უფრო ეკონომიური უძლურება. სახელმწიფოში ცოტა საქონელი მზადდება. ის ვერ აკმაყოფილებს თავის მოთხოვნილების ერთ მეხუთედსაც. წარმოება განუვითარებელია. საქონლის დიდი ნაწილი უცხოეთიდან უდნა შემოვიდეს. მარა უცხოეთთან აღებ-მიცემობას სარჩულათ უნდა ედვას საქონლის გაცვლა-გამოცვლა, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის საკმაოთ არ მოეპოვება. ქართველი ხალხის კულტურული მოთხოვნილება კი დიდია. ამ მოჯადოებული წრიდან გამოსვლა შეიძლება ორი გზით: ან დამოუკიდებლობაზე სრულიად უარის თქმით და ვინმე დიდი სახელმწიფოს პროვინციათ გახდომით ან და ამიერ-კავკასიის გაერთიანებით, ყოველ შემთხვევაში მისი სადამეურნეო და ფინანსიური გაერთიანებით. ადერბეიჯანს მოეპოება საქონელი, რომელსაც ვალიუტის ხასიათი აქვს და რომელსაც ევროპა და რუსეთი საჭიროებს. ეს ქმნის მის აქტიურ სავაჭრო ბალანს და რაკი ეს ფაქტი არსებობს, ადვილია ფინანსიური სისტემის შექმნა და სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენა. ამას გრძნობს ადერბეიჯანის მთავრობა და ამით აიხსნება, რომ მას ასე ამაყათ და მიუკარებლათ უჭერია თავი ჩვენთან მოლაპარაკების დროს. ამითვე აიხსნება ის გარემოება, რომ ინგლისელები ასე ჩააფრინდენ ბაქოს და თათრებს ეარშიყებიან წინააღმდეგ ზოგიერთი „ჭკვიანი" პოლიტიკოსების მოლოდინისა.

პოლიტიკის სათავე, მისი მამოძრავებელი, მისი მიმართულების მიმცემი მუდამ იყო ეკონომიკა. ჩვენი ცხოვრების ფაქტები ამას ერთხელ კიდევ მჭერმეტყველურათ ადასტურებს.

ჩვენი ვალია რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკა ისე მოვმართოთ, რომ აზერბეიჯანი საერთო ეკონომიურ პოლიტიკაში ჩავითრიოთ და მით შესაძლებელი გავხადოთ თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივობის შენარჩუნება. ეს გარდუვალი მოთხოვნილებაა. მაგრამ საშიშია ამ კითხვის გადაჭრის დროს ჩვენი დემოკრატიული შინაური პოლიტიკა არ გაიხაროს. ამაშია ჩვენი ტრილიზმი ..

6 მარტი

დღეს მე და პ. გ. ენგელთან გვქონდა მოლაპარაკება, რომ ის სატყეო უწყებას სათავეში ჩადგომოდა. ჩვენი ერთი უდიდესი სიმდიდრე ტყე იღუპება. ქურდობა და მტაცებლობა საშინლათ გავრცელდა. ქართველებს არ გვყავს მცოდნე და საქმის უნარის მქონე კაცები. რამდენი ხანია ვეძებთ გაიძვერა ზაქტრეგერის მაგიერ კაცს და ვერ გვიშოვია. ამავე დროს ჩვენი ნაციონალისტები იჩქარიან მალე გაატარონ დაწესებულებებში ნაციონალიზაცია. ამაში ხედავენ ხსნას. ბეცები! რას უშველის ნაციონალიზაცია, როცა მცოდნე პრაქტიკული სახელმწიფო მოღვაწეები ყველა სფეროში სანთლით საძებარია. ასეთ პირობებში ნაციონალიზაციის დაჟინებით გატარება—ეს უნიჭო მოხელეების ობივატელური მოთხოვნილების დაკმაყოფილებაა და არა სალი სახელმწიფოებრივი პოლიტიკა...

---

*) ეს მასალები ჩვენ მოგვყავს ბ. ნ. ხომერიკის დღიურიდან, რომელიც ჩვენ ხელთ არის.

რედ.

მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძის იუბილე

ხვალ, 11 დეკემბერს, რუსთაველის თეატრში გაიმართება მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძის 25 წლის შემოქმედების აღსანიშნავი იუბილე. ჩვენში ბევრია ხელოვნების მოტრფიალე, მაგრამ ცოტაა ნამდვილი ხელოვანი შემოქმედების ნიჭით და მტკიცე ნებისყოფით აღჭურვილი. იაკობ ნიკოლაძე ამ მხრივ გამონაკლისს შეადგენს. მან შესძლო ქვის და მარმარილოს ამეტყველება, შესძლო გადალახვა ყოველგვარი დაბრკოლებებისა და მიუხედავათ 25 წლის განუწყვეტელი მძიმე შრომისა, ისიც არახელსაყრელ პირობებში, დღესაც ენერგიულათ განაგრძობს ერთხელ არჩეულ გზით სვლას ხელოვნების სამსახურისთვის. საქართველოში იაკობ ნიკოლაძეს არა ჰყავს ტოლი, ახალი დროის ქართველი ქანდაკება მხოლოდ მისი შემყურეა და ვინც იცნობს მის მუშაობას ეჭვი არ შეეპარება, რომ ი. ნიკოლაძე და მისი ქანდაკება უკვდავი დარჩება. მისი 25 წლის მოღვაწეობის იუბილეს დღეს ჩვენ მხურვალე სალამს უძღვნით მას და უსურვებთ უკვე გამარჯვებულს კიდევ უფრო მეტ გამარჯვებას.

რადიო-ტელეგრამები

ლოზანის კონფერენცია

საუბარი ამხ. ჩიჩერინთან

მოსკოვი. 9 დეკემბ. „ტაიმსის" კორესპონდენტთან საუბრის დროს ჩიჩერინმა, სხვათა შორის, მიუთითა იმ საფრთხეზე, რომელსაც წარმოადგენს კონფერენციისათვის ინგლისის მთავრობის მტრული პოზიცია და მისი ინტრიგები საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მთელი საზღვრების სიგრძეზე. ფრაზით სრუტეების თავისუფლების შესახებ ინგლისის მთავრობა ცდილობს დაფაროს თავისი გეგმა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ დასაყრდენი სტრატეგიულ პუნქტის შექმნის შესახებ. ინგლისის მთავრობა ცდილობს დაისაკუთროს შავი ზღვა, რათა უფრო ადვილად წაავლოს ხელი რუსეთს ყელში. ოსმალეთმა უნდა შეინარჩუნოს ყველა ტერიტორიალური წყლები, სრუტეების დახურვით ყველა სახელმწიფოების სამხედრო გემებისათვის—ეს არის რუსეთისათვის მისაღები გადაწყვეტილება.

ანგორის მთავრობის ახალი ინსტრუქციები.

მოსკოვი 9 დეკ. ანგორის მთავრობამ ისმეტ ფაშას გადასცა ახალი ინსტრუქციები, რომელშიაც წინადადებას აძლევს მას არ წავიდეს არც ერთ დათმობაზე, რომელნიც ეწინააღმდეგებიან ეროვნულ ხელშეკრულების მოთხოვნილებებს და დაარღვევენ ოსმალეთის სუვერენიტეტს.

რუსეთის დეკლარაცია სრუტეების შესახებ.

მოსკოვი. 9 დეკ. ლოზანას კონფერენციაზე წაკითხულ დეკლარაციის გამო ჩიჩერინმა გამოსთქვა მწუხარება, რომ საბჭოთა მთავრობამ ვერ შესძლო მონაწილეობის მიღება კონფერენციის ყველა საქმეებში. ჩიჩერინმა აღნიშნა, რომ რუსეთი და მისი მოკავშირეები უნდა სარგებლობდენ იმავე უფლებებით, როგორითაც სარგებლობენ სხვა სახელმწიფოები და რომ საჭიროა ბოსფორში, დარდანელში და შავ ზღვაში სავაჭრო გემების მიმოსვლის სრული თავისუფლების აღდგენა. სრუტეები ყოველთვის დახურული უნდა იყოს ყველა სახელმწიფოს სამხედრო გემებისათვის, გარდა ოსმალეთისა. საბჭოთა რუსეთი სასტიკ წინააღმდეგობას გაუწევს ყოველგვარ გადაწყვეტილებას, რომელსაც ძალით მოგვახვევენ თავზე ზოგიერთი სახელმწიფოების სამხედრო ძალები.

სრული შეთანხმება.

ჟანევერი. 9 დეკემბ. ისმეტ ფაშასა და ჩიჩერინს შორის გაიმართა თათბირი, რომელიც რამოდენიმე საათი გაგრძელდა.

თათბირზე ყველა საკითხების შესახებ მიღწეულია შეთანხმება.

საფრანგეთი და კონფერენცია.

მოსკოვი. 9 დეკ. საფრანგეთის პრესსა გამოსთქვამს შიშს ხმების გამო, რომლითაც ლორდ კერზონს განზრახვა აქვს ინგლისისათვის მნიშვნელოვან საკითხების გადაწყვეტის შემდეგ დაბრუნდეს ლონდონში და მარტო დატოვოს საფრანგეთი, რათა უკანასკნელმა თვითონ შეეცადოს დანარჩენ საკითხების გადაწყვეტას. ამის შესახებ „მატენი" სწერს: „ჩვენ არ შეგვიძლია ცარიელი ხელებით წავიდეთ ლოზანიდან, როდესაც სხვები წავლენ იქიდან სავსე ხელებით".

ლოზანის კონფერენციის ბედი

მოსკოვი. 9 დეკემბ. ლოზანას კონფერენცია ჯერ-ჯერობით დადებით შედეგებს მეტად დაშორებულია. ბრიტანიის დელეგაცია ცდილობს კონფერენციის იანვრამდე გადადებას.

საფრანგეთი და კონფერენცია

მოსკოვი. 9 დეკემბერი პარიზიდან მიღებულ ცნობის თანახმად პუანკარემ საჩქაროდ გაიწვია ლოზანაში კონსტანტინოპოლიდან საფრანგეთის უმაღლესი კომისარი გენერალი პელლე. „დეიტშე ალგემეინე ცეიტუნგის" პარიზის კორესპონდენტის აზრით ეს გამოწვეულია იმ საშიშროებით, რომელსაც განიცდის საფრანგეთის მთავრობა კონფერენციის საქმეების არასასურველად მსვლელობის გამო.

ანგორა და კონფერენცია

მოსკოვი. 9 დეკემბ რეიტერის სააგენტო იტყობინება, რომ ოსმალეთის ეროვნული კრება ლოზანას მოლაპარაკების უშედეგობაში ბრალს სდებენ ინგლისს და სთვლის, რომ ისმეტ-ფაშამ არ უნდა დასთმოს თავისი პოზიციები.

ამერიკის მონაწილეობა.

მანჩესტერი. 9 დეკემბ. ლოზანიდან იუწყებიან, რომ ამერიკის ზედამხედველი თანდათან აქტიურ მონაწილეობას იღებს ლოზანას კონფერენციის მუშაობაში.

სრუტეების კომისიაში.

პარიზი. 9 დეკემბ. დღის სხდომაზე კერზონმა განაცხადა, რომ წინადადება შეიცავს საკმაო გარანტიებს სრუტეების და სტამბოლის დაცვის უზრუნველსაყოფად. მან სთქვა, რომ მოკავშირეთ განზრახვა აქვს ძალიან რბილად განმარტონ სრუტეებში თავისუფლად მიმოსვლის პრინციპი და მათ შეუძლიათ მიანდონ ოსმალეთს მარმარილოს ზღვის ზოგიერთ გამაგრებულ ადგილების დაცვა. მოკავშირეებს აგრეთვე შესაძლებლად მიაჩნიათ ოსმალეთის ჯარების გავლა განიარაღებულ ზონაში; მოკავშირეები ფიქრობენ, რომ ოსმალეთის პრეტენზიები იმბროსის, ტენედოსის, სამოთრაკის და ლემნოსის კუნძულებზე ატარებენ პოლიტიკურ ხასიათს. ჩიჩერინმა წინადადება შეიტანა დაეშვათ რუსეთის დელეგაციის ექსპერტები მოკავშირეთა და ოსმალეთის ექსპერტთა მომავალ თათბირზე. ლორდ კერზონმა უპასუხა რომ ამის საჭიროებას ის სრულებით ვერ ხედავს, რადგანაც ის საკითხები, რომელთაც განიხილავს ექსპერტების თათბირი, სრულებით არ ეხებიან რუსეთის უშუალო ინტერესებს. ბარერმა განაცხადა, რომ საქმე მხოლოდ უბრალო აზრთა გაცვლა გამოცვლას შეეხება და თათბირს არა აქვს ოფიციალური ხასიათი. ჩიჩერინი დაჟინებით არ ითხოვდა თავის წინადადების მიღებას და მან განაცხადა, რომ ამ ინციდენტის შესახებ იგი წარმოადგენს წერილობითი დასკვნას.

მუსოლინი ლოზანაში.

ლოზანიდან იუწყებიან, რომ მუსოლინის ხანგრძლივი თათბირი ჰქონდა იტალიის დელეგაციასთან და ლორდ კერზონთან, რომელმაც ბანკეტი გამართა მის საპატივსაცემოდ დილით მუსოლინი გაემგზავრა ლონდონს.

ლოზანას კონფერენციის კაპიტულაციის ქვე-კომისიაში.

მანჩესტერი. 9 დეკ. გაიმართა კაპიტულაციის ქვე-კომისიის სხდომა, რომელზედაც დაესწრნენ ისპანიის, დანიის, პოლონეთის, ნორვეგიის და შვეციის წარმომადგენელნი. კითხვაზე—მისცემენ თუ არა ოსმალეთის დელეგაციის წევრები ამომწურავ პასუხს მოკავშირეების და ნეიტრალურ სახელმწიფოების მიერ შეტანილ წინადადებაზე, ოსმალეთის დელეგაცია პასუხს იძლევა, რომ ოსმალეთი მზად არის ყოველგვარი გარანტიები მისცეს ოსმალეთში მცხოვრებ უცხოელებს იმ პირობით, თუ ეს გარანტიები არ იქნებიან მიმართული ოსმალეთის სუვერენობის წინააღმდეგ.

ოსმალეთის დელეგაციის წინადადებები.

ლონდონი. 9 დეკემბ. სამხედრო-ტერიტორიალურ კომისიაში ირჩეოდა ისევე სრუტეების საკითხი. ისმეტ-ფაშამ წარადგინა ოსმალეთის წინადადებები სრუტეების საკითხების შესახებ. მისმა სიტყვამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. აღნიშნავენ, რომ ოსმალეთის წინადადებები უფრო მორიგებითი ხასიათის არიან, ვიდრე ფიქრობდნენ.

ლონდონი. 9 დეკემბ. „ნიუ ეჯენსის" ცნობით ისმეტ-ფაშამ ოსმალეთის თვალსაზრისის განმარტების დროს განაცხადა, რომ ოსმალეთმა აუცილებლად უნდა გაამაგროს სრუტეები. მან აგრეთვე მთელი რიგი განცხადებებისა გააკეთა მოკავშირეების გეგმების შესახებ. დღეს, კერზონი, საფრანგეთის და იტალიის დელეგაციასთან თათბირის შემდეგ პასუხს გასცემს ისმეტ ფაშას წინადადებაზე. რუმინიის, სამხრეთ სლავიის, ბულგარეთის, და საბერძნეთის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მათი მთავრობები იღებენ მოკავშირეთა წინადადებას სრუტეების თავისუფლების საკითხის შესახებ.

პრემიერების თათბირის გამო

ამერიკის ზეგავლენა.

მანჩესტერი, 9 დეკემბერი. ინგლისის გაზეთი „სტარი" სწერს, რომ შეერთებულ შტატების ხმა, იმედი უნდა ვიქონიოთ, დიდ გავლენას მოახდენს თათბირზე ლონდონში. გაზეთის აზრით, ამერიკა ფიქრობს მოახდინოს გავლენა გერმანიის წინააღმდეგ მიმართულ ზომების შემსუბუქების მხრივ ბონარ-ლოუ ლოიდ-ჯორჯზე უფრო [illegible].

პარიზი. 7 დეკემბ. ლონდონის თათბირის შესახებ ლონდონის პრესა გამოსთქვამს აზრს, რომ ბონარ-ლოუ ბევრად უფრო, ვინემ ლოიდ-ჯორჯი, ცდილობს დააკმაყოფილოს საფრანგეთი. ფიქრობენ რომ ბონარ-ლოუ დაუახლოვდება საფრანგეთის თვალსაზრისს.

პრემიერების თათბირის გამო.

მოსკოვი. 9 დეკემბერი ლონდონის კლუბში წარმოთქმულ სიტყვაში ამერიკის ელჩმა ვარვეიმ განაცხადა, რომ პრემიერების მომავალი თათბირი ლონდონში იქნება ერთ ერთ უმნიშვნელოვანესთაგანი უკანასკნელ წლებში მომხდარ თათბირთა შორის. „თუ ამ თათბირზე. სთქვა გარვეიმ ვერ მოახერხდა ევროპის აღდგენის საკითხის გადაჭრა, ევროპას ველარაფერი ველარ გადაარჩენს საბოლოოდ დანგრევისაგან.

ახლო აღმოსავლეთში

ერთიანი ფრონტი.

მოსკოვი 9 დეკ. დიუმში (საფრანგეთში) გაიმართა მუშათა მრავალრიცხოვანი მანიფესტაცია ერთიან პროლეტარული ფრონტის სასარგებლოდ.

— ჩეხო-სლავიის კომპარტიის კომიტეტმა მისცა წინადადება ყველა კომუნისტურ ორგანიზაციებს, შევიდენ სოციალისტურ პარტიებთან მჭიდრო კონტაქტში იმ მიზნით, რომ შექმნან მთლიანი ფრონტი კაპიტალის და ფაშიზმის ყოველგვარ შემოტევის წინააღმდეგ საბრძოლველად.

დასავლეთ ფრაკიაში.

მოსკოვი. 9 დეკემ. საბერძნეთის ოფიციალური წრეები კატეგორიულად უარყოფენ ცნობებს დასავლეთ ფრაკიაში მომხდარ აჯანყების შესახებ.

გერმანიის ამბები

გერმანიის მუშათა შორის,

მოსკოვი 9 დეკ. ლიუდვიგსჰაფენში გაფიცვები გრძელდება. წამოყენებულია შემდეგი მოთხოვნილებანი: ფასების საერთო დაკლება, სურსათის და დიდი ბინების რეკვიზიცია, გაფიცულთა შვილებისათვის ქალაქის თვითმართველობის მიერ სურსათის მიწოდება და ხელისუფალთა მიერ პროლეტარულ საკონტროლო ორგანოების ცნობა.

როზა ლუქსემბურგის მკვლელობის გამო.

მოსკოვი 9 დეკ. როზა ლიუქსემბურგის მკვლელ კრალის წინააღმდეგ აღძრულია ახალი საჩივარი სასამართლოში სოც.-დემოკრატ. პარვუსის მოკვლისათვის მოწოდების გამო.

რეინის ოლქი.

მოსკოვი. შეეხო რა დაწვრილებით საკითხზე რეინის ოლქზე საფრანგეთის პრეტენზიების შესახებ, კუნომ განაცხადა, რომ რეინის ოლქი განუყოფელი ნაწილია გერმანიის, რომელიც არასოდეს არ აიღებს ხელს ამ ოლქზე.

საკონტრიბუციო საკითხის გადაჭრის პროექტი

პარიზი. 8 დეკემბერი. ბერლინში ამ ჟამად ირჩევა ორი პროექტი საკონტრიბუციო საკითხის გადასაჭრელად. პირველი—შეთანხმება საფრანგეთთან, რომელსაც თან უნდა დაერთოს უცხოეთის და შინაური სესხები, რასაც უზრუნველყოფს გერმანიის მთავრობა თავისი მრეწველობით და მიწათმოქმედებით.

მეორე პროექტი—„საკონტრიბუციო ბანკი"ს დაარსება ერთი მილიარდი მარკის კაპიტალით, რომელიც შეაქვს სახელმწიფო ბანკს, მთავრობას და მრეწველობას. ბანკის თავმჯდომარეთ იქნება ნეიტრალური სახელმწიფოს წარმომადგენელი, ხოლო გერმანიის წარმომადგენლები იქნებიან ბანკის გამგეობაში. ბანკი ფინანსებს მიაწოდებს წარმოებებს დანგრეულ ოლქების აღდგენისათვის, ანგარიშს გაუწორებს გერმანელ მიმწოდებლებს ნატურით მიწოდებისათვის და დასასრულ, ანგარიშს გაუსწორებს საფრანგეთის წარმოებებს დანგრეულ ოლქების აღდგენისათვის.

სხვადასხვა ამბები

კომუნისტების გამარჯვება ჰოლანდიაში

ჟანევერი. 9 დეკ. ჰოლანდიის ქალაქების მუნიციპალურ არჩევნებში ყველგან კომუნისტები იმარჯვებენ. განსაკუთრებით ის გამარჯვება დიდია ქრისტიანიაში, სადაც კომუნისტებმა უმრავლესობა გაიყვანეს მუნიციპალიტეტში.

ამერიკა და რუსეთი.

მოსკოვი 9 დეკ. „მორნინგ პოსტ" იტყობინება, რომ ამერიკის რადიკალური წრეები, რომელნიც მხარს უჭერენ ამერიკის მიერ საბჭოთა რუსეთის ცნობას, მეტად კმაყოფილნი არიან შორ.-აღმ. რესპ. რ. ს. ფ. ს. რ. თან შეერთებით და ფიქრობენ ამერიკიდან უფრო ენერგიულად მოითხოვონ ორივე სახელმწიფოს შორის დიპლომატიურ ურთიერთობის აღდგენა.

„მორნინგ პოსტის" შიში.

რომი. 9 დეკ. ლონდონიდან იუწყებიან, რომ „მორნინგ პოსტი" სწერს შემდეგს: „აშკარავდება, რომ თავის საგარეო პოლიტიკაში მუსოლინი საბჭოთა რუსეთთან თანამშრომლობის გზას ადგია.

კაბინეტის კრიზისი ჩინეთში.

მანჩესტერი. 9 დეკ „ტაიმსის" ცნობით ჩინეთის პრემიერ მინისტრ ვანგჩი, რომელმაც ამ დღეებში მიიღო თავისი ადგილი, გადადგა გადადგომის განცხადება არ მიიღო ჩინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ლი იანგმა.

ფინეთში.

მოსკოვი. 9 დეკ. „ფინსკი რაბოჩი" იტყობინება ფინეთის მუშებს შორის მომხდარ ჩხრეკის შესახებ რუსეთის დამშეულთა დამხმარე კომიტეტისათვის შეწირულებათა შეგროვების გამო.

ფაშისტები უნგრეთში.

მოსკოვი 9 დეკ. ფაშისტურმა ორგანიზაციებმა უნგრეთში წარუდგინეს თავიანთი წესდებები შინაგან საქმეთა მინისტრს დასამტკიცებლად.

ელჩთა კონფერენციის სხდომა.

ბორდო. 8 დეკემბერი. პარიზში შესდგა ელჩთა კონფერენციის სხდომა. სხდომის შედეგის შესახებ პრესაში ჯერ არავითარი ცნობა არ არის.

საბერძნეთში

რომი. 8 დეკემბ. ბონარ ლოუმ, თემთა პალატაში შეკითხვის საპასუხოდ ინგლისის მთავრობის საბერძნეთის საქმეებში ჩარევის შესახებ, განაცხადა, რომ მთავრობა ამ ჟამად იხილავს საკითხს ათინიდან საზღვაო მისიის მოწვევისა და დიპლომატიურ ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ.

ყოფილი მინისტრების გასამართლება.

რომი. 8 დეკემბერი. სოფიიდან იტყობინებიან, რომ ბოლგარიის უმაღლესმა სასამართლომ დაამთავრა რადოსლავოვის კაბინეტის ყოფილი მინისტრების საქმის შესწავლა. განაჩენის გამოტანას მოელიან ერთი თვის შემდეგ.

ინგლისი

ნიუბოლდის განცხადება.

მოსკოვი, 9 დეკემბერი. „როსტას" ლონდონის კორესპონდენტთან საუბრის დროს ინგლისის პარლამენტის დეპუტატმა, კომუნისტ ნიუბოლდმა სთქვა: „როგორც ინგლისის კომპარტიის წარმომადგენელი, მე მხარს უჭერ ძალა უფლების მუშათა კლასის ხელში გადასვლას. ბევრ მუშებს ჯერ კიდევ მიაჩნიათ შესაძლებლად მორალური ზეგავლენით გამარჯვების მოპოება. ამიტომ ჩვენ ვეცდებით მივაწიოთ ჩვენს მიზანს კონსტიტუციონური გზით, რადგან კაპიტალისტები არასოდეს არ დათანხმდებიან ჩვენს პროგრამაზე, რევოლიუცია ადრე თუ გვიან აუცილებელია. მუშები უნდა შეეჩვიონ დისციპლინას საერთო იერიშების ორგანიზაციის მიზნით. საარჩევნო ოლქში, რომლის წარმომადგენელიც მე ვარ, დიდი გაჭირვებაა. არსებობის ასეთ პირობებს ბოლო უნდა მოეღოს.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

სიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალურ კომიტეტში.

მოსკოვი. 9 დეკ. სიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალურ კომიტეტის სხდომების დროს უმუშევრობასთან ბრძოლის კომისიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საბჭოთა ფედერაციაში ამ ჟამად მოიპოება დაახლოებით 420,000 უმუშევარი. ამ რაოდენობის ნახევარი ხვდება უკრაინას, მოსკოვს და პეტროგრადს. ქალები შეადგენენ უმუშევართა მთელი რაოდენობის 50 პროცენტს.

უმუშევართა უმრავლესობას შეადგენენ—საბჭოთა მუშაკები, შავი მუშები და შინაური მოსამსახურეები.

მოეწყო უმუშევართა არტელები, რომლებშიაც მუშაობს 17,000 კაცი. გახსნილია სასადილოები პეტროგრადში, ყაზანში, პერმში, ვორონეჟში, სარატოვში, ჟიტომირში და ვიტებსკში. ახლო მომავალში მოსკოვში გაიხსნება სასადილო 3,000 კაცისათვის. კომისია ებრძვის შრომის ბირჟის გარეშე მუშების დაქირავების შემთხვევებს.

— სიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა საუწყებათაშორისო თათბირმა დაადგინა წინადადება მიეცეს მიწადმოქმედების და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებს გაუწიონ დახმარება დაღესტანის რესპუბლიკას, რომელიც განიცდის გაჭირვებას.

მოსკოვის საბჭოს არჩევნები.

მოსკოვი. 9 დეკ. მოსკოვის საბჭოში არჩეულია 211 კომუნისტი და 16 უპარტიო. სულ 4 დღის განმავლობაში არჩეულია 1035 კომუნისტი და 51 უპარტიო.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო.

ბათუმი

მცხოვრებთა აღწერა.

ბათომის მცხოვრებთა აღწერა დამთავრდა. წინასწარი ანგარიშის მიხედვით ბათომში 60,012 მცხოვრებია, 7,657 ბინა, 3,127 საწარმოო დაწესებულება. 1917 წელთან შედარებით მცხოვრებთა რიცხვი გაიზარდა 74 პროცენტით.

ახალგაზრდობის კომკავშირის ფლოტის შეფი.

ახალგაზრდობის კომკავშირმა გაუგზავნა კასპიის მეზღვაურებს 12 მილ. მან. საშეფო საჩუქარი.

განათლების მუშაკთა კონფერენცია.

დაიწყო განათლების მუშაკთა კონფერენცია. მიუხედავად მენშევიკების და ფედერალისტების ოპოზიციისა, რომლებიც მონაწილეობას იღებდენ კონფერენციაზე, ის ერთსულოვნად ჩატარდა საბჭოთა ხელისუფლებასთან სრული თანამშრომლობის განწყობილებით მიიღეს კომფრაქციის მიერ წარდგენილი რეზოლიუციები და სრულიად საქართველოს და აჭარის კონფერენციისათვის დელეგატების და გამგეობის შემადგენლობის სიები.

აზერბეიჯანი

ამიერ-კავკასიის ესერების პროცესი.

ბაქო. 8 დეკემბერი. 7 დეკემბერს საღამოს სხდომაზე დაიწყო კამათი მხარეებს შორის.

ბრალმდებელმა, - ცენტრალურ აღმასკომის წევრმა ამხ. ვასილიევმა დაახასიათა ესერების პარტიის მოღვაწეობა დღიდან მისი არსებობისა, ხოლო შემდეგ შეეხო ამიერ-კავკასიის ორგანიზაციების მოღვაწეობას 1920—1922 წლებში. ბაქოს ორგანიზაციის მუშათა წრეები, რომელიც აღნიშნა ბრალმდებელმა არ იზიარებდენ პარტიის მე-10-ე ყრილობის რეზოლიუციებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლის შესახებ, მაგრამ პარტიის მეთაურებმა თავისი გაიტანეს და წაიყვანეს მუშები „კომუნისტური პარტიის დიქტატურის ჩქარ და პრაქტიკულ დაძლევისაკენ", როგორც ეს ნათქვამია ესერების ერთ-ერთ რეზოლიუციაში, მოაწყვეს რა ბაქოს რაიონებში სამრეწველობისათვის ცეცხლის გაჩენა. ბრალმდებელმა მოითხოვა უმაღლესი სასჯელის განაჩენის გამოტანა შემდეგ ბრალდებულებისათვის: გოლომაზოვის, პლეტნევის, ზაიცევის, სამოროდოვაიას, ფონშტეინის, ოსინცევის, კრესტოვსკის, ონოშენის, კლიშაკოვის და ივანოვისათვის. დანარჩენ ბრალდებულთათვის სასჯელი, ბრალმდებლის აზრით, უნდა განისაზღვროს თვითეულის პარტიაში მუშაობის მიხედვით.

9 დეკემბერს მოისმინეს ამხ. ველიბეკოვის სიტყვა, რომელიც ბრალს სდებდა ესერების მუსულმანურ ჯგუფს „ხალგჩი"-ს.

ბაქოს მუშები მთელ რიგ რეზოლიუციებში მოითხოვენ მუშათა მასების მოღალატეების შეუბრალებლად დასჯას.

კომინტერნში

მეოთხე კონგრესი

მოსკოვი. 9 დეკემბერი. კომინტერნის კონგრესის საბოლოო სხდომაზე, ზინოვიევმა თავის სიტყვაში სთქვა: „მე 4-ე კონგრესის ამოცანა იყო მუშათა საერთაშორისო მოძრაობის საკითხების გამორკვევა. კონგრესმა შეასრულა ეს ამოცანა. კომინტერნი პირველად გამოვიდა მსოფლიო პარტიის სახით, რომელმაც გადაჭრა კოლექტიური გამოცდილების საფუძველზე საფრანგეთის, იტალიის, ჩეხიის და სხვა პარტიების საკითხები. კომინტერნი იზრდება. კონგრესს დაესწრო 65 დელეგაცია 62 სახელმწიფოსაგან, მაშინ როდესაც მე-3-ე კონგრესს დაესწრო მხოლოდ 52 დელეგაცია. საერთო—პოლიტიკურ ლოზუნგების მაგიერ ჩვენ გადავწყვიტეთ მთელი რიგი პრაქტიკულ ამოცანებისა. ეს ნიშნავს, რომ კომინტერნი არის არა მარტო პროპაგანდის საზოგადოება, არამედ ის ხდება პროლეტარიატის მსოფლიო ორგანიზაციათ. ჩვენ პირველად განვიხილეთ დაწვრილებით საკითხი მუშათა მთავრობის შესახებ. მე იმედი მაქვს, რომ მალე ჩვენ ერთ ან რამდენიმე სახელმწიფოში გვექნება ამ საკითხში გამოცდილება. მე-4-ე კონგრესმა დიდი ნაბიჯი გადასდგა წინ აღმოსავლეთის ხალხთა შორის მუშაობის სფეროში. პროფკავშირების საკითხში ჩვენ მივიღეთ მეტად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება და კავშირი შევკარით მსოფლიო სინდიკალისტური მოძრაობის საუკეთესო ნაწილთან. ეს სერიოზული ნაბიჯია საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუციის მოსამზადებლად. ჩვენ ყველგან დავიცავთ პროფკავშირების ძლიერობას. ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ პროლეტარიატის ეს მასიური ორგანიზაცია, რომელიც კომუნისტების ხელმძღვანელობით შეიქნება რევოლიუციონურ ბრძოლის საუკეთესო იარაღათ. ჩვენ განვახორციელებთ ერთიანი პროლეტარული ფრონტის ლოზუნგებს. კონგრესმა შეასრულა სამუშაო იმ ფაქტორების სერიოზულად მომზადებისათვის, რომელთაც მივყევართ პროლეტარულ რევოლიუციისაკენ. არ შეიძლება ითქვას როდის გადავალთ ჩვენ შეტევაზე. ერთი აშკარაა—ამჟამად ლაპარაკია არა ათეულ წლებზე, არამედ მხოლოდ წლებზე. ძირითადი ამოცანა მდგომარეობს მუშათა მასსების დაპყრობაში. კიდევ რამოდენიმე წელი (გამოტოვებულია)... მაშინ ჩვენ მოუწოდებთ მუშათა კლასს შეტევისაკენ. ჩვენ ხვდებით „მსოფლიო პარტიით, დეე ბურჟუაზია ცახცახებდეს: მომავალი გვეკუთვნის ჩვენ".

სიტყვა იწვევს ხანგრძლივ და მქუხარე ტაშს. კონგრესი იხურება რევოლიუციონური სიმღერით.

მეოთხე აღმასკომში.

მოსკოვი. 9 დეკემბ. 6 დეკემბერს შესდგა კომინტერნის ახლად არჩეული აღმასკომის პირველი სხდომა. აღმასკომის პრეზიდიუმში არჩეული არიან ცეტკინი, ბუხარინი, რადეკი, კოლლაროვი, [illegible], კუუსინენი, კატაიამა, კეირანი, მაკ. მანუსი, სუვარი და ფროსსარი. კომინტერნის გენერალურ სეკრეტარად ერთხმად არჩეულ იქნა კოლაროვი. კლარა ცეტკინი ერთხმად არჩეულ იქნა კომინტერნის ქალთა სეკრეტარიატის გამგეთ.

ზინოვიევი აცხადებს, რომ კომინტერნი შეუთანხმდა პროფინტერნს გაერთიანებულ მოქმედების კომიტეტის ორგანიზაციის შესახებ, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს პროფინტერნს და კომინტერნს საერთო გამოსვლებში. მოქმედების კომიტეტი უნდა შესდგეს კომინტერნის და პროფინტერნის აღმასკომების წარმომადგენელთაგან.

პიტერის საბჭოს დელეგატმა ვიშნეცკაიამ გადასცა ცეტკინს დროშა ლეიპციგის მუშებისა და მუშა ქალებისათვის—პიტერის მშრომელთა საჩუქარი. აღელვებულმა კლარა ცეტკინმა მხურვალე მადლობა უძღვნა პიტერის პროლეტარიატს და სთქვა. „გერმანიის მუშები არ დაკმაყოფილდებიან მარტო სიტყვიერი მადლობით, ბურჟუაზიის წინააღმდეგ რევოლიუციონური ბრძოლით ისინი გადაუხდიან სამაგიეროს რუსეთის პროლეტარიატს".

მისალმება ამიერ-კავკასიის საბჭოთა ყრილობას

„პრავდა გრუზიის", „კომუნისტის" და „კარმირ ასტღის" რედაქციები მიესალმებიან ამიერ-კავკასიის საბჭოთა ყრილობას და დარწმუნებული არიან, რომ ურყევ ბაქოს პროლეტარიატის სატახტო ქალაქში ის საბოლოოთ განამტკიცებს ამიერ კავკასიის მშრომელთა კავშირს.

გაუმარჯოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს.

პარტიული ცხოვრება

საქ. კომპარტიის ცეკას მუშაობა ოქტომბერში

პარტ-აღმზრდელობითი მუშაობა*)

ცეკას კავშირი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებთან დაცული იყო უწინდელ წესით გარდა ამისა ცენტრალური კომიტეტის წევრების მიერ ეწყობოდა შემოვლა ზოგიერთი მაზრებისა და ოლქებისა, მაგ.: სიღნაღისა, თელავისა, გორისა, ზუგდიდისა თავის მხრივ საოლქო და სამაზრო პარტკომების წევრების მიერ ხდებოდა გაცნობა და გამოკვლევა ადგილობრივი ორგანიზაციებისა, კომუჯრედების მდგომარეობისა, როგორც მაგ.: აჭარისა, სენაკისა, ქუთაისისა, გორისა, შორაპნისა და სხვა მაზრებში.

ც. კ. ჰყავს 4 ინსტრუქტორი, რომელთაგან ერთი ტრანსპორტზე მუშაობისათვის და სამი პარტორგანიზაციული მუშაობისათვის.

ც. კ. ინსტრუქტორების მიერ, საჭიროების მიხედვით ეწყობოდა შემოვლა სამაზრო ორგანიზაციებისა. ერთი ინსტრუქტორთაგანი სრულიად დაბანდებული იყო სამხრეთ-ოსეთის ორგანიზაციის გადამამოწმებელ და გამწმენდ კომისიაში გეგმაშეწონილი და სისტემატიური მუშაობა კომუჯრედებისა რამდენიმედ შეფერხებულ იქნა მიმდინარე წმენდით, რომელმაც მიიზიდა მთელი ყურადღება პარტიის წევრებისა.

მიუხედავათ ამისა, უჯრედებმა მაინც გააჩაღეს ინტენსიური მუშაობა სხვა და სხვა პოლიტ წრეების, მარქსისტული და ფილოსოფიური წრეების მოსაწყობათაც კი. ასეთი წრეები მოწყობილია თბილისის, ბათომის, ქუთაისის, სენაკის, სიღნაღის, შორაპნის, გორისა და სხვა ორგანიზაციებში.

ბათუმში სწარმოებდა მოსამზადებელი მუშაობა მუშათა უნივერსიტეტის მოსაწყობათ ამას გარდა, კომუჯრედები და მათი ორგანიზატორები უწევდენ ხელმძღვანელობას დამხმარე უჯრედებს, მათთან მომზადებულ პარტ-ამხანაგების მიმაგრებით, როგორც ეს იყო ახალციხის, ახალქალაქის და ნაწილობრივ ბორჩალოს მაზრებშიაც.

კომუჯრედების მუშაობა უპარტიო მასსაში კომუნისტური გავლენის და გავრცელების საქმეში, დამხმარე უჯრედებზე ხელმძღვანელობის გარდა, გამოიხატებოდა საჯარო კრებების მოწყობაში, რომელთაც დიდი დადებითი შედეგები ჰქონდა უპარტიო მასაზე კომუნისტური გავლენის გაძლიერების საქმეში.

პარტ აღმზრდელობითი მუშაობას დიდი ზიანი მიაყენა პარტ მობილიზაციამ, პროვინციიდან აგიტპროპაგანდისტური ძალების მოწყვეტით: საანგარიშო თვეში პარტ მობილიზაციით არმიაში მოხვდა მაზკომების საგიტპროპაგანდო განყოფილებათა გამგეები—4. ამ გარემოებამ ძნელ მდგომარეობაში ჩააყენა მთელი რიგი მაზრებისა, როგორიც არიან: ოზურგეთის, რაჭის, ლეჩხუმის, თიანეთის და ზუგდიდის. დანარჩენ მაზრებში პარტ აღმზრდელობითი მუშაობა სწარმოებდა დამაკმაყოფილებლად. ც. კ. ღებულობს ენერგიულ ზომებს პოლიტ-განმანათლებელ მომუშავის საკმარისი კადრის შესაქმნელად, პარტ-სკოლებისა და მარქსისტური წრეების მოწყობით და პარტიული მასსიდან ცოტათ თუ ბევრად მომზადებულ ამხანაგების საპასუხისმგებლო სამუშაოზე წამოყენებით.

ძირითადი შინაარსი მუშაობისა ოქტომბრის თვეში იყო სამზადისი თათბირის მოსაწვევად და თვით თათბირი საოლქო და სამაზრო პარტკომების საგიტაციო-საპროპაგანდო და ქალთა განყოფილებებისა და აგრეთვე სამზადისი ოქტომბრის რევოლიუციის 5 წლის თავისათვის.

საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებათა გამგეების თათბირმა მოგვცა ნათელი სურათი პარტ განმანათლებელი მუშაობის მდგომარეობისა ადგილებზე; მან თვალწინ გადაგვიშალა ჩვენ უარყოფითი და დადებითი მხარეები ამ დარგში. თათბირზე გამოირკვა, რომ ადგილებზე არ არის მჭიდრო კავშირი პარტკომების საგიტ პროპაგანდო განყოფილებებსა და მონათესავე პოლიტგანმანათლებელ ორგანიზაციებს შორის. იქნა წამოყენებული კონკრეტიული ზომები, ხსენებულ ორგანიზაციებს შორის მაქსიმალური დაახლოვებისა და კონტაქტის მიღწევის მიზნით.

თათბირი ჩატარდა საკმარისი წარმატებით და საქმიანათ: და არის იმედი, რომ ის მოახდენს ძლიერ გავლენას ინტენსიური და ნაყოფიერი პარტ-პოლიტ განმანათლებელი მუშაობაზე ადგილობრივად.

საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილების დავალებით სამაზრო და საოლქო კომიტეტების მიერ ტარდებოდა თესვის კამპანია, რომლის დროს განსაკუთრებული ყურადღება იქნა მიქცეული სათესლე ხორბლის შეკრებაზე, მისი მნიშვნელობისა და დანიშნულების ახსნა-განმარტებაზე. ამას გარდა ჩატარებულ იქნა კამპანია განსაკუთრებულ დანიშნულების ნაწილების ორგანიზაციის მნიშვნელობაზე საქართველოში.

---

*) გაგრძელება იხ. „კომ." № 283.

ამხ. რადეკის მოხსენება კომინტერნის კონგრესზე

კაპიტალის შემოტევა

ძირითადი საკითხი.

ამხანაგებო! საგანს ყველა ჩვენ დისკურსიებისას ტაქტიკის შესახებ, რომელსაც ჩვენ აქ ვაწარმოებდით და მომავალშიაც ვაწარმოებთ, შეადგენს ერთი საკითხი: კაპიტალის შემოტევა მსოფლიო პროლეტარიატის წინააღმდეგ და თავდაცვის საშუალებანი. ყოველთვის, როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ საფრანგეთის კომპარტიის ბრძოლის უნარიანობაზე, ერთიან ფრონტზე, მუშათა მთავრობაზე,—ყველა ამ ტაქტიკურ საკითხებს საფუძვლად უდევს მოძრაობის ის ფაზა, რომელსაც ჩვენ ეხლა განვიცდით,—კაპიტალის შემოტევის ფაზა.

საკითხი, კაპიტალის შემოტევის შესახებ ჩვენ წრეებში ძალიან ვიწროთ არის გაგებული,—მას ხშირათ უთანაბრებენ საკითხს ხელფასის შემცირების და სამუშაო დღის გაგრძელების შესახებ. ან, მეორეს მხრივ, მთელი მსოფლიო რევოლიუციის ისტორიას უთანაბრებენ ორ ფაზას, რომელნიც მექანიკურად არიან დაშორებული ერთი მეორისაგან—პროლეტარიატის შეტევას და კაპიტალის კონტრ-შეტევას.

რუსეთის რევოლიუციას ყველა ჩვენ ვაფასებთ, როგორც საერთაშორისო მნიშვნელობის გავლენას. მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ მსოფლიო ბურჟუაზიამ გაიგო უკეთ, ვიდრე მსოფლიო პროლეტარიატმა, რომ რუსეთის რევოლიუცია წარმოადგენს საერთაშორისო პროლეტარიატის შეტევის პირველ აქტს. საკმარისია წავიკითხოთ გრაფის ჩერნინის და ლიუდენდორფის მემუარები, რომ დავამტკიცოთ, რომ ოქტომბრის გამარჯვების წინ, შუა ევროპის ქვეყნების სახელმწიფო მოღვაწეებს მშვენივრად ესმოდათ, რომ ომის პერიოდის შემდეგ, იმ ომის, რომელსაც აწარმოებდა კაპიტალი სოციალ-დემოკრატიის გაკოტრების და ხალხთა მასების პასიურობის წყალობით, მარტის რევოლიუციაც კი იყო მაჩვენებელი კაპიტალის ფრონტის შემოტევასა და რომ მსოფლიო სცენაზე გამოჩნდა ახალი ისტორიული ფაქტორი.

როგორ ვაფასებთ მდგომარეობას ჩვენ.

ბევრი დაცინვით ლაპარაკობს იმ ილიუზიების შესახებ, რომელმაც მოიცვა კომუნისტური ინტერნაციონალი მისი წარმოშობის და მის მიერ მსოფლიო მდგომარეობის შეფასების დროს. ყოფილი ცენტრისტები და მეორე ინტერნაციონალის ეხლანდელი წრეები ლაპარაკობენ ჩვენ „ბრმა ოპტიმიზმის" შესახებ, რომელიც გამოიჩინა კომუნისტურმა ინტერნაციონალის ორგანიზაციამ მსოფლიო რევოლიუციის გამარჯვებაზე იმედის დამყარებით. მე ნებას მივცემ ჩემს თავს წაგიკითხოთ დოკუმენტი, რომელიც დაწერილია, სწორედ იმ დროს, როდესაც კომინტერნის პირველი კონგრესი შეიკრიბა და დაწერილია ლოიდ ჯორჯის მიერ. ეს „შინაური" დოკუმენტი მხოლოდ ეხლა იქნა გამოქვეყნებული იტალიის პრემიერის ნიტის მიერ. ამ საიდუმლო მემორანდუმში, რომელიც დაწერილი იყო ვერსალის კონფერენციის მთავარ მოღვაწეთათვის, ლოიდ ჯორჯი სიტყვა სიტყვით შემდეგს ამბობს: „ევროპა გაჟღენთილია რევოლიუციონური იდეებით. მუშათა კლასი მოიცვა მძულვარების და აღშფოთების გრძნობამ იმ მდგომარეობისადმი, რომელშიაც იგი ომამდე იმყოფებოდა". შემდეგ ლოიდ-ჯორჯი ამბობს: „**ყველაზე დიდი საშიშროება მდგომარეობს იმაში, რომ გერმანია თავის ბედს ბოლშევიკებს მიანდობს, დაუთმობს მათ თავის სიმდიდრეებს თავიანთ ორგანიზაციულ ძალას. თუ გერმანიაში სპარტაკი გაიმარჯვებს, იგი თავის ბედს ბოლშევიკებს დაუკავშირებს. თუ კი ეს ასე მოხდებოდა, მაშინ მთელ ევროპას ბოლშევიკური ალი მოედებოდა.**"

ამხანაგებო, მსოფლიო მდგომარეობის ეს სურათი, როგორიც ეჩვენებოდა ევროპის ბურჟუაზიის ყველაზე ჭკვიან წინამძღოლს, არის ფოტოგრაფია იმ სურათისა, რომელშიაც იმყოფებოდა მთელი მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციის ამ მეორე ფაზაში, გერმანიის რევოლიუციის დასაწყისში. მსოფლიო კაპიტალმა სძლია ეს მდგომარეობა შეუთანხმა რა თავდაცვითი პოლიტიკა დასავლეთში თავის პირველ შეტევას აღმოსავლეთში.

პროლეტარიატის შეტევა

თუ ჩვენ თვალს გადავავლებთ 1919 წ. გაფიცვების სტატისტიკას, ნათლად დავინახავთ, რომ ამ პერიოდში არა მარტო გერმანიაში, არამედ ინგლისში და ამერიკაშიც დაიწყო პროლეტარიატის შეტევა.

მთელ დასავლეთ ევროპაში სამრეწველო კაპიტალიზმის ქვეყნებში, ბურჟუაზიამ დაიკავა მუშათა კლასისადმი წმინდა თავდაცვითი პოზიცია, ეშინოდა რა თავისი წინააღმდეგობით დასავლეთ ევროპის და ამერიკის პროლეტარიატი არ გადასულიყო კომუნიზმის ბანაკში. ამავე დროს ბურჟუაზია გადავიდა თავის პირველ შეტევაზე საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, და ეს შემოტევა, თქვენ კარგათ მოგეხსენებათ, გამოიხატა ანტანტის ინტერვენციაში.

ამხანაგებო, საბჭოთა რუსეთმა არა მარტო უკუაგდო მსოფლიო კაპიტალის შემოტევა, არამედ 1920 წელში მსოფლიო რევოლიუციის ორ ძირითად ხანის საზღვარზე, მსოფლიო კონიუნქტურის გარდატეხის დროს საბჭოთა რუსეთი თავდაცვიდან შეტევაზე გადავიდა. რომ წარმოვიდგინოთ ის, თუ როგორი შედეგები მოჰყვებოდა პირველ პროლეტარულ სახელმწიფოს მიერ საზღვრების გადალახვას ვისლაზე და ძალა-უფლების ხელში ჩაგდებას იტალიაში, საკმარისი იქნება მივიღოთ მხედველობაში, რომ იგი იქნებოდა ცდა იმისა, რომ აღმოსავლეთ და სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპის მიწათ-მოქმედების ქვეყნები გადასულიყვნენ მთელი მსოფლიოს სამრეწველო პროლეტარიატის განკარგულებაში. საბჭოთა რუსეთის ვარშავაზე სამხედრო შეტევის და იტალიაში პროლეტარული შეტევის უშედეგობა გამოწვეული იყო სხვა და სხვა მიზეზებით, მაგრამ ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ეს მარცხი გარდატეხის ხანაა პირველ პროლეტარულ რევოლიუციის ისტორიაში.

მსოფლიო კაპიტალის შემოტევა შესაძლებელი გახდა მხოლოდ გარდამავალ ფსევდო კონიუნქტურის შემდეგ, რომელმაც მოამზადა ნიადაგი მსოფლიო კაპიტალის ხელში ინიციატივის გადასვლისათვის. მე გადავდივარ ამ ფაზაზე. ამ ცვლილებას საფუძვლად უდევს ფაქტი, რომელიც თუმცა მომავალში კაპიტალიზმს დამარცხებამდე მიიყვანს, მაგრამ ჯერჯერობით კი ძალიან გაამაგრა მისი პოზიციები და სახელდობრ ის ფაქტი, რომ მსოფლიო კაპიტალმა ომის და ვერსალის ზავის შემდეგ მიაღწია თავის გაფართოების საზღვარს. ამით იყო გამოწვეული სამეურნეო კრიზისი ყველა ქვეყნებში, როდესაც არსებობენ უმუშევართა მილიონები, წარმოებაში ჩაბმულ მუშების საომარი ძლიერება სიდამბლეს განიცდის.

შემოტევა ციფრებში

ინგლისში მაგ. 1918 წ. მოხდა 1250 გაფიცვა, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა 1 მილ. ასი ათასი მუშა. ეს გაფიცვები გაგრძელდენ 6,730 ათასი დღე. 1918 წელში ეს რიცხვი გაიზარდა 1413 გაფიცვით, რომელშიაც მონაწილეობდა 2 მილ. ხუთასი ათასი მუშა და რომელიც 34 მილ. დღე გაგრძელდა. 1920 წ. ადგილი ქონდა 1715 გაფიცვას. მონაწილეთა რიცხვი შემცირდა. მაგრამ მაინც გაფიცვებში მონაწილეობას იღებდა დახლოვებით 2 მილ. მუშა, რომელნიც გაფიცულნი იყვნენ 27 მილიონ დღის განმავლობაში. ამ გაფიცვებს შედეგად მოჰყვა ის, რომ 6—7 მილ. მუშას გაუდიდეს ხელფასი 7 მილ. გირ. სტერლინგით ყოველ კვირეულად სამუშაო დღის შემცირება 1919 წ. 6 ნახ. მილ. მუშისათვის უდრიდა 6 საათს ყოველ კვირეულად, 1920 წელს ნახევარ მილიონ მუშისათვის 3 ნახ საათს. ბოლოს მუშების 60—80 პროცენტმა მიაღწია 8 საათის სამუშაო დღის შემოღებას.

1921 წ. კი გაფიცული იყო სულ 118,000 მუშა. 8 მილ. მუშას ხელფასი ყოველ კვირეულად 11 მილ. გ. სტერლინგით შეუმცირდა. 1922 წ. აგვისტოში ხელფასი ხელახლა შეუმცირეს 7 ნახ. მილ. მუშას 3 ნახ. მილ. გირვანქით (მაშინ, როდესაც ხელფასის მომატებას მიაღწია სულ 18,000 მუშამ და ისიც 8,000 გირვანქით).

იმავე პროცესს ჩვენ ვაჩნევთ ამერიკაში: მწარმოებელნი არ კმაყოფილდებიან ხელფასის შემცირებით და სამუშაო დროის გაგრძელებით. მთელ ხაზზე დაიწყო ბრძოლა იმ უფლებათა წინააღმდეგ, რომელიც პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა მოიპოვეს. პროფესიონალურ ორგანიზაციებს უარი უნდა ეთქვათ უფლებაზე სამუშაოში მხოლოდ დარაზმულ მუშების დაშვების შესახებ.

მე აღარ მოვიყვან ბევრ მაგალითებს მთელ რიგ ქვეყნებიდან, როგორიც არის შვეცია, ჰოლანდია, ნორვეგია და შვეიცარია.

ცხადია, რომ ჩვენ აქ საქმე გვაქვს დიდ სამეურნეო პოლიტიკურ გეგმასთან მსოფლიო მასშტაბით.

ომის დროს მსოფლიო კაპიტალმა შეიმუშავა გეგმა ომის შედეგების დასაძლევად სამეურნეო დარგების ინტეგრაციის საშუალებით. ასეთი იყო გერმანიის გეგმა შუა ევროპის ბლოკის შედგენის შესახებ, ასეთი იყო ვილსონის გეგმა, რომელიც სცდილობდა დიდ ინგლის-ამერიკულ ბლოკის შედგენას. ეს გეგმა ჩაიფუშა ნაციონალისტურ კაპიტალისტურ ჯგუფების ინტერესთა წინააღმდეგობის გამო.

ვერსალი წარმოადგენდა მეორე გეგმას. ვერსალის ზავის სამეურნეო პოლიტიკურ თვალსაზრისით დამარცხებულ ქვეყნების მხრებზე გადააქვს კაპიტალისტურის მეურნეობას აღდგენის ხარჯები. ის გეგმა ჩაიფუშა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგობის და გერმანიის მეურნეობის დაშლის გამო. მსოფლიო კაპიტალს სხვა გზა აღარ რჩებოდა თუ არა ის, რომ მეურნეობის აღდგენის მთელი ხარჯები გადაეტანათ ყველა ქვეყნის მუშათა მასების ზურგზე. თუ ომის დროს ჩვენ ვლაპარაკობდით, რომ ერთად-ერთი დამარცხებული აღმოჩნდება მუშათა კლასის, ეხლა მსოფლიო კაპიტალი ადასტურებს: „მხოლოდ მუშათა კლასის ხარჯზე შეიძლება მეურნეობის აღდგენა".

ამ ჟამად მსოფლიო კაპიტალს ძალიან დიდი საშუალებანი ესაჭიროება აღდგენისათვის. მართალია, იტალიას შეეძლო კრიზისისაგან თავის დაღწევა, რომ მას დღეს ქონდეს იმ საშუალებათა ერთი მეათედი, რომელიც მან ომის დროს დახარჯა, მაგრამ ეს ერთი მეათედიც კი არ აქვს მას. მეორე შესაძლებელი გზა კაპიტალიზმისათვის კრიზისის დასაძლევად, იყო საქონლის მომხმარებელი ოლქების გაფართოება, მაგრამ არც ეს არის შესაძლებელი. ამიტომ კაპიტალის შემოტევა არ არის გარდამავალი ცდა ისარგებლოს პროლეტარიატის სისუსტით. მას უფრო ღრმად აქვს ფესვები გამდგარი.

თუ ეს შემოტევა არ მოხერხდა მსოფლიო კაპიტალი დამარცხებული იქნება მუშათა კლასის მიერ, ევროპის მნიშვნელოვან ქვეყნებში მაინც. ვინაიდან საქმე ეხება სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის და არა მარტო ხელფასის და სამუშაო დღის საკითხს.

კაპიტალის შემოტევის პოლიტიკური ფორმები.

ამგვარად მე გადავდივარ კაპიტალის შემოტევის პოლიტიკურ ფორმებზე.

ამხანაგებო, როდესაც სამი ინტერნაციონალების ბერლინის კონფერენციაზე და საერთოთ ჩვენი აგიტაციის დროს, ჩვენ აღვნიშნავდით, რომ მსოფლიო კაპიტალის ბრძოლა რუსეთში ქარხნების დენაციონალიზაციის სასარგებლოთ, არის ნაწილობრივ მსოფლიო კაპიტალის შემოტევა, მაშინ ბევრი ჩვენგანი ვერ არჩევდა კავშირს ამ ორ საკითხთა შორის აგრეთვე გამოურკვეველი იყო ჩვენთვის კავშირი სტინესის ბრძოლისა და მსოფლიო კაპიტალის პოლიტიკურ გეგმებს შორის. ამიტომ ნება მიბოძეთ მე შევჩერდე საკითხის ამ მხარეზე.

მსოფლიო კაპიტალი სცდილობს უკუაგდოს მუშათა კლასი რთული სისტემის შემწეობით, რომელიც აერთიანებს მუშათა კლასის წინააღმდეგ სხვადასხვა ქვეყნებში წარმოებულ ბრძოლას მსოფლიო მაშტაბით წარმოებულ პოლიტიკურ ბრძოლასთან. გენუაში და ჰააგაში გამოაშკარავდა ძირითადი პირობები იმ გეგმის განსახორციელებლად, რომელიც საფუძვლად უდევს კაპიტალის შემოტევას. ინგლისში მოახერხეს მუშათა მოძრაობის ჩაქრობა და წარმოების მთავარ დარგებში ნაციონალიზაციის გატარება. შარშან ინგლისის მუშებს მოუხდათ ბრძოლა არა მაღაროების ნაციონალიზაციისათვის, არამედ ხელფასისათვის. და ისინი ამ ბრძოლაშიაც დამარცხდნენ. ამერიკაში ნაციონალიზაციის საკითხი სრულიად მიყუჩდა. გერმანიაში დღეს თუ ხვალ რკინის გზები კერძო კაპიტალის ხელში გადავა. ერთად ერთი სახელმწიფო, სადაც მრეწველობა მუშათა კლასის ხელში იმყოფება არის რუსეთი.

ამის გამო საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ დაწყებული ბრძოლა, რომლის მიზანია ფინანსიური ბოიკოტის საშუალებით გვაიძულოს ჩვენ კერძო კაპიტალისტებს დაუბრუნოთ ქარხნები, არის მსოფლიო კაპიტალიზმის შემოტევის მთავარი შემადგენელი ნაწილი. ეს შემოტევა მოითხოვს გერმანიის საკითხის გადაჭრას ისეთი ფორმით, რომ კაპიტალიზმი გერმანიის ტერიტორიაზე უზრუნველყოფილ იქნეს და რომ მან, ამავე დროს გამონახოს საშუალება კაპიტალიზმის საერთო აღდგენისათვის.

გერმანიის კაპიტალი, რომელმაც საუკეთესო გამოხატულება ჰპოვა სტინესის სახით, ეძებს გამოსავალს და კიდეც იპოვა იგი იმაში, რომ კერძო კაპიტალზე ჰყიდის სახელმწიფო ქონებას—მაღაროებს და რკინის გზებს.

ამ გზით სტინესი ფიქრობს მიიღოს გერმანიისათვის დიდი სესხი ამერიკის და ინგლისის ბაზარზე და ამ სესხის პროცენტების გადასახდელად მას აქვს ფინანსიური გეგმა, რომელიც ამბობს: „მრეწველობის გადასახადებისაგან განთავისუფლება და ამ გადასახადების ფართო მასებზე გადატანა რაც არის გერმანიის კაპიტალის ახალი დაგროვების საშუალება."

ერთი შეხედვით, თითქოს ეს საკითხი არის გერმანიის შინაური საკითხი, მაგრამ ამ პოლიტიკის მჭიდრო კავშირი საფრანგეთის პოლიტიკასთან, მაჩვენებელია იმისა, რომ ამ საკითხის მნიშვნელობა გაცილებით უფრო ფართოა. იმ დროს, როდესაც საფრანგეთის მილიტარისტები საფრანგეთის კაპიტალის ხსნას ხედავენ რურის რაიონის ოკუპაციაში, რეინის საბუფერო სახელმწიფოს დაარსებაში და ამ რიგად სამხრეთ გერმანიის ჩრდილოეთ გერმანიიდან ჩამოშორებაში, ვასალურ სახელმწიფოს შექმნაში, რომელიც აერთებს ავსტრიას და ბავარიას საფრანგეთთან რეინის საბუფერო სახელმწიფოს საშუალებით, იმავე საფრანგეთის სამრეწველო წრეების ხელმძღვანელი იდეები სულ სხვა ხასიათს ატარებს. ეს მდგომარეობს გერმანია—საფრანგეთის ფოლადის და ნახშირის სინდიკატის დაარსებაში, რომელიც ერთის მხრივ ფრანგებს მისცემს აღდგენისათვის საჭირო საშუალებას, ხოლო მეორეს მხრივ სტინესს მისცემს საშუალებას გაატაროს გერმანიაში თავისი პოლიტიკა ამ ჟამად არსებულ ძალთა ურთიერთობის წინააღმდეგ.

„ახალ ტიურიხის გაზეთის" პარიზის კორესპონდენტი შემდეგ ნაირად გამოხატავს ამ გეგმას: სტინესის გეგმის გარეშე, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფო მოსამსახურეთა და მუშების რაოდენობის შემცირებას, შრომის ინტენსივობის აწევას და სამუშაო დროის გაგრძელებას—არ არის ხსნა არც გერმანიისათვის და არც საფრანგეთისათვის. მაგრამ სტინესს არ შეუძლია განახორციელოს თავისი გეგმა საკუთარი ძალებით. და ამიტომ ეს გეგმა უნდა იქნეს განხორციელებული საფრანგეთის ულტიმატიურ მოთხოვნილების სახით გერმანიის მთავრობისადმი".

ამხანაგებო, თუ სტინესის ეს გეგმა არ განხორციელდა, ის მოხდება არა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგობის ძალით, არამედ ინგლისის კაპიტალის ოპოზიციის წყალობით, იმ კაპიტალის, რომელსაც დიდ საფრთხეს უქადის ცენტრალურ ევროპაში ფოლადის და ნახშირის ძლიერი სინდიკაცის შექმნა. თუ ეს გეგმა ირღვევა, ეს ხდება არა გერმანიის მუშათა კლასის წინააღმდეგობის გამო, არამედ იმ წინააღმდეგობათა გამო, რომელიც კონტრ-რევოლიუციონურ ბანაკში არსებობს.

იმავე ძალებს, რომელნიც თავს იჩენენ გერმანიაში მსხვილი მრეწველობის წარმომადგენელის სტინესის მოღვაწეობის დროს, ჩვენ ვხედავთ იტალიაშიაც, სადაც ისინი იმავე გეგმას იზარებენ. მუსოლინი ფაშისტების პროგრამაში მოითხოვს: „საჭიროა მოვიკრიბოთ გამბედაობა და ვსთქვათ სიმართლე; მუშათა მასები დღეს ყველაზე ნაკლებ გადასახადებს იხდიან, მიუხედავათ იმისა, რომ ისინი იღებენ მეტს, ვიდრე გადასახადებით დატვირთული საშუალო კლასი. არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე, რომ წარმოების შევიწროება კაპიტალზე დადებულ საშინელი პირდაპირი გადასახადებით არის დაბალი კლასებისათვის კიდევ ერთი არაპირდაპირი გადასახადი, ვინაიდან კაპიტალისტური მეურნეობის შევიწროება იწვევს უმუშევრობას და ხელფასის შემცირებას. სიმართლეს მოკლებულია ის აზრი, რომ საჭიროა დავზოგოთ ღარიბი იმით, რომ გადასახადების მთელი სიმძიმე „მდიდრებზე" გადავიტანოთო".

ეს პროგრამა განმარტებას არ საჭიროებს.

ამხანაგებო, ბურჟუაზიის ასეთი გეგმები მოითხოვენ სათანადო პოლიტიკურ ღონისძიებებსაც. და ჩვენ მთელ ევროპაში მარჯვნივ გადახრას ვამჩნევთ. ბურჟუაზიას სურს განამტკიცოს თავისი ძალები, რომ საერთო ნგრევის პირობებში გადაარჩინოს ის, რის გადარჩენაც შეიძლება. ბონარ ლოუმ დაიწყო იმით, რომ სცადა შრომის სამინისტროს გაუქმება. მან განაცხადა, რომ სახელმწიფო უნდა ერიდოს სამეურნეო პოლიტიკაში ჩარევასო—განცხადება, რომელიც მუსოლინის განცხადებას ეთანხმება, რომ იგი სამეურნეო საკითხში დაიცავს ძველ ლიბერალურ შეხედულებას, რომ სრულებით საჭირო არ არის სამეურნეო ცხოვრებაში ჩარევაო, ეს ნიშნავს—მიეცეს კაპიტალს შესაძლებლობა დაუზოგავად გამოიყენოს თავისი ძალა მუშათა კლასის წინააღმდეგ.

კონსპირატიულ კონტრ-რევოლიუციის გეგმები.

ამხანაგებო, კონსპირატიული კონტრ-რევოლიუციონური ორგანიზაციები იმავე პოლიტიკას ადგანან, მაგრამ უფრო შენიღბულად. როდესაც კითხულობ ყვითელ კონტრ-რევოლიუციონურ ლიტერატურას, ხედავ, რომ კონტრ-რევოლიუციონერები გაცილებით უკეთ იცნობენ ჩვენს მოღვაწეობას და ჩვენ სტრატეგიას, ვიდრე ჩვენ. (ხმები: მართალია!) მიუხედავად კონტრ-რევოლიუციის ლეგალურ მდგომარეობისა, ევროპაში დღეს არალეგალური ორგანიზაციაც არსებობს, რომელშიაც თავს იყრიან კონტრ-რევოლიუციის ხელმძღვანელი ელემენტები.

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ გერმანიის კონტრ-რევოლიუციონურ წრეებს, პოლკოვნიკ ბაუერის მეთაურობით, მჭიდრო კავშირი აქვთ რუს მონარქისტებთან, ხორტისთან და მუსოლინთან, რომ მათ კავშირი აქვთ საფრანგეთის სამხედრო პარტიასთან. ვადევნებთ რა თვალყურს კონტრ რევოლიუციის ამ მემარჯვენე ფრთის მოღვაწეობას ჩვენ ვხედავთ, რომ ცენტრალურ ევროპაში არსებობს პროლეტარული რევოლიუციის 3 კერა—გერმანია, ჩეხო-სლოვაკია და იტალია. მათი გეგმა ამიტომ მდგომარეობს გერმანიის, ჩეხო სლოვაკიის და იტალიის შორის ბარიერის შექმნაში, ბავარიაში კონტრ-რევოლიუციის ძლიერი ზღუდეს შექმნასთან ერთად ვითარდება ცდა კონტრ-რევოლიუციას დაუმორჩილონ ავსტრიაც. ჟენევის ხელშეკრულობა, ავსტრიის პარლამენტის ფაქტიური ლიკვიდაცია, სუსტი არმიის მოსპობა, იმ არმიის, რომელიც ვენაში პროლეტარული ელემენტებისაგან შესდგებოდა—აი დასაწყისი ამ კონტრ-რევოლიუციისა. იმ მომენტში, როდესაც კონტრ რევოლიუცია ბავარიის ტახტზე ვიტელსბახებს აიყვანს, კავშირი ბავარიასა და ავსტრიის შორის მოეწყობა ტიროლის საშუალებით. რეაქციონური ჰუნგრეთი ხელში ჩაიგდებს ცენტრალურ ევროპას. იტალიაში ფაშისტების გამარჯვება არის ამ პოლიტიკის ერთი ნაწილი, რომელიც ნაწილობრივ შეგნებლად ტარდება, ნაწილობრივ კი იგი შექმნილ მდგომარეობიდან გამომდინარეობს. მე ვფიქრობ, რომ კომუნისტურ ინტერნაციონალისათვის საჭიროა ფაშიზმის და მისი გამარჯვების შინაარსის გაგება. მე უფრო ვრცლად შევეხები ამ საკითხს.

ფაშიზმის გამარჯვების შინაარსი.

ფაშისტების გამარჯვებაში მე ვხედავ არა მარტო ფაშისტურ იარაღის მექანიკურ გამარჯვებას, მე იმაში ვხედავ სოციალიზმის და კომუნიზმის უდიდეს დამარცხებას, ვინაიდან ფაშიზმის გამარჯვება არის დღევანდელ იტალიის სოციალიზმის და მუშათა მოძრაობის სულიერი და პოლიტიკური გაკოტრება. ბანალური ფრაზა: „ფაშისტები არიან ბურჟუაზიულ კონტრ-რევოლიუციის წარმომადგენლებიო" საკმაოთ ვერ აშუქებს იმ მოვლენას, რომელსაც, შესაძლოა, სულ ახლო მომავალში ექნება დიდი მნიშვნელობა გერმანიის და ჩეხოსლოვაკიის მოძრაობისათვის (ხმები „მართალია"!) იტალიის ინტელიგენციის დაბალი ფენები, იმ ინტელიგენციის, რომელიც იტალიაში ყოველთვის უფრო მეტ როლს თამაშობდა, ვიდრე სხვა ქვეყნებში, იმედ დაკარგულნი დაბრუნდენ ომიდან, იმიტომ რომ მიუხედავათ გამარჯვებისა, იტალიის ნაციონალური პროგრამა არ განხორციელდა სავსებით. სარგებლობდენ რა ომის დროს სათანადო გავლენით, ისინი დაბრუნდენ ქვეყანაში, სადაც მეურნეობა სრულიად დანგრეული იყო; სახელმწიფოს არ ქონდა საშუალება ეზრუნა მათზე. მათ შეამჩნიეს რევოლიუციონურ მუშათა მოძრაობის ზრდა და მტრულად შეხედეს მათ არა მარტო იმისათვის, რომ ეს იყო მუშათა მოძრაობა, არამედ იმიტომაც, რომ პროლეტარიატი ომის წინააღმდეგი იყო.

სოციალისტურმა პარტიამ კი ყოველი ღონე იხმარა, რათა თავიდან მოეშორებია ეს ფენები. და არა მარტო ისინი, არამედ ომის ინვალიდებიც. რევოლიუციის ტალღა მოედო მთელ ქვეყანას; ბურჟუაზიულ იტალიას დაეტყო დაშლა. იტალიის სიტყვა-კაზმული ლიტერატურა 1918 წ. მოყოლებული, ხასიათდება პაციფიზმის, რეფორმიზმის და პორნოგრაფიის სულისკვეთებით, რაც საუკეთესო დამამტკიცებელია ბურჟუაზიის გახრწნისა. მუშათა კლასის გამარჯვების შემდეგ ეს ლიტერატურა ღებულობს ფაშისტურ ნაციონალისტურ ხასიათს.

საზღვარ-გარეთ მყოფი ერთი ჩვენი წარმომადგენელთაგანი მომითხრობდა მე, რომ იტალიის დიპლომატებმა 1920 წელში განაცხადეს: „ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენში რევოლიუცია იმარჯვებს. დიდი, ამან მაინც მოგვცეს მუშაობის შესაძლებლობაო". ასეთი იყო იტალიის ბურჟუაზიის სულის კვეთება. სოციალიზმი ძლიერდებოდა, მაგრამ მან უნაყოფოთ დახარჯა თავისი ძალები. გერმანიის ბურჟუაზიულ გაზეთის ერთმა კორესპონდენტმა ჰკითხა მუსოლინს: „გაბედავთ თუ არა თქვენ ძალაუფლების ხელში ჩაგდებას არალეგალური გზითო?" მუსოლინმა უპასუხა: „**ლეგალურად თუ არალეგალურად, მე მაინც ჩავიგდებ ამასო". სოციალისტები დამარცხებული არიან, ვინაიდან მის სიტყვას საქმე აღარ მოჰყვაო**". ის გარემოება, რომ სოციალისტურმა პარტიამ ვერ შესძლო მასების ბრძოლაში გაყვანა, იყო ფაშიზმის გაძლიერების მიზეზი. როდესაც იტალიის მუშებმა ხელში ჩაიგდეს ქარხნები და ბურჟუაზია იმდენად სუსტი იყო, რომ ჯიოლიტიმ განაცხადა, რომ მას არ შეუძლია მათ წინააღმდეგ სალდათების გაგზავნა, რეფორმისტებმა დაარწმუნეს მუშები თავისით დაეტოვებიათ ქარხნები.

სწორედ ამ მომენტში იტალიის ბურჟუაზიამ დაჰკარგა შიში. იგი შეტევაზე გადავიდა იკითხება, რატომ არ ჩაიდინა მან ეს სახელმწიფო აპარატის ჟანდარმერიის, ბურჟუაზიულ სასამართლოს და ბურჟუაზიულ პარტიების დახმარებით? იმიტომ, რომ ბურჟუაზიული პარტიები გაიცრნენ, მათ სახელი გატეხილი ქონდათ, ისინი აწარმოებდენ ომს, სახელმწიფო აპარატი მათ ხელში იყო, იმათ მიაყენეს სახელმწიფოს დეფიციტი, მათ აღარაფრის თქმა აღარ შეეძლოთ სალდათებისათვის. მაგრამ მუსოლინი და წვრილ-ბურჟუაზიული, ნაციონალისტური ინტელიგენცია წარმოადგენენ ახალ ძალას ძალაუფლების ხელში ჩასაგდებათ. ფაშისტები მოდიან ახალი რწმენით. ისინი აცხადებენ: „ჩვენ ვაიძულებთ კაპიტალისტებს დააკმაყოფილონ მუშათა მოთხოვნილებანი, მაგრამ, თქვენ, მუშებო უნდა იმუშავოთ".

როზა ლიუქსემბურგმა სთქვა ერთხელ, რომ საუკეთესო დამცველები ბურჟუაზიისა არიან ისინი, რომელნიც თვით იზიარებენ ბურჟუაზიულ ილიუზიებსო. იტალიის სოციალიზმში ილიუზია აღმოჩნდა და ფაშისტებმა მას წვრილ-ბურჟუაზიული ილიუზია დაუპირდაპირეს. ისინი თავს დაესხნენ მუშათა ორგანიზაციებს, უკანასკნელებმა წინააღმდეგობა არ გაუწიეს, ქალაქებში და სამრეწველო ცენტრებში მასა კიდევ უწევდა წინააღმდეგობას, მაგრამ პატარა ქალაქებში და სოფლებში, სადაც მუშები გაფანტულნი იყვნენ, ისინი გახდენ ფაშიზმის მსხვერპლი. ეჭვს გარეშეა, რომ თუ ფაშიზმს სამრეწველო ცენტრებში ცოტა მომხრეები ჰყავს, სოფლებში მიიმხრო მუშები არა მარტო ძალით, არამედ ნაციონალური პოლიტიკით.

ამხანაგებო, ფაშიზმის გამარჯვება მუშების მხრივ წინააღმდეგობის გაწევის გარეშე, გვაფიქრებინებს, რომ იტალიაში მუშათა მოძრაობა განვითარების უმდაბლეს საფეხურზე იმყოფება.

თუ ჩვენი იტალიელი ამხანაგები, თუ იტალიის სოციალისტური პარტია ვერ მიხვდებიან ფაშიზმის გამარჯვების და ჩვენი დამარცხების მიზეზებს, ჩვენ მოგველის ფაშიზმის ბატონობის ხანგრძლივი პერიოდი. ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლა მოითხოვს არა მარტო გამბედაობის და არალეგალურ ორგანიზაციის შექმნას, არამედ მუშებში რწმენის შთანერგვას, რომ შესაძლოა ფაშიზმის პოლიტიკურად დამარცხება.

ფაშისტები წარმოადგენენ წვრილ ბურჟუაზიას, რომელიც სახელმწიფოს სათავეში მოექცა, და რომელსაც მხარს უჭერდა კაპიტალიზმი და ეხლა კი იძულებულია გაატაროს არა წვრილ-ბურჟუაზიული არამედ კაპიტალისტური პროგრამა. ამაში მდგომარეობს ფაშიზმის სისუსტე. მას გახრწნა მოელის. **ჩვენ ფაშისტებში ვარჩევთ აგრარულ და სამრეწველო ფრთას და მათ შორის აუცილებელი კონფლიქტები ააფეთქებს მუსოლინის პოლიტიკას. ის, რაც შეადგენს ფაშიზმის ძალას, ერთდა იმავე დროს წინასწარ სწყვეტს მის დაღუპვას.** გახდა რა წვრილ ბურჟუაზიულ პარტიათ მან გააფართოვა თავისი შემოტევის ფრონტი და აღიჭურვა ენთუზიაზმით ჩვენ წინააღმდეგ საბრძოლველად. მაგრამ, ამის გამო, რომ ფაშიზმი არის დიდი წვრილ-ბურჟუაზიული პარტია, მას არ შეუძლია თვით აწარმოოს იტალიის კაპიტალის პოლიტიკა, ისე რომ არ გამოიწვიოს ამით აღშფოთება თავისავე ბანაკში. ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის წარმატება დამოკიდებული იქნება იმაზე, შევძლებთ თუ არა ჩვენ გლეხობის მობილიზაციას მუსოლინის წინააღმდეგ, თუ ჩვენ მეგობრებს, იტალიის კომუნისტებს სურთ იყონ პატარა, მაგრამ წმინდა პარტია, მე შემიძლია ვსთქვა, რომ პატარა და წმინდა პარტია ძალიან ადვილად დაეტევა ციხეში, მაგრამ **თუ იტალიის პარტიას სურს გახდეს ნამდვილი ძალა, იგი უნდა დაუპირდაპირდეს მუსოლინის გამარჯვებას. იტალიის პარტია უნდა შეუდგეს არა თეორეტიულ დისკუსიებს ერთიანი ფრონტის ტაქტიკის შესახებ, არამედ იმ ფართო მასების დარაზმვას, რომელთაც სწყურიათ განთავისუფლება ფაშიზმის წინააღმდეგ იერიშის მიტანად.**

კაპიტალიზმის შემოტევა, რომელიც თანდათან იზრდება ეკონომიურ და პოლიტიკურ სფეროებში, და რომელსაც ჯერ უმაღლეს წერტილამდე არ მიუღწევია, აყენებს ჩვენს წინაშე საკითხს, გვაქვს თუ არა აქ ჩვენ საქმე კონტრ რევოლიუციის ტალღასთან, რომელიც მოსდევს რევოლიუციის ტალღას, როგორც 1849 წელში. პასუხი ამ საკითხზე ერთია: იგი არის შესავალი ჩვენი მომავალი ტაქტიკისა. საჭიროა აღვნიშნოთ შემდეგი. კონტრ-რევოლიუციის გამარჯვება ევროპის მასშტაბით, გამოწვეულ იყო 1849 წელს კაპიტალიზმის აღორძინებით, რამაც დიდი სარგებელი მისცა ბურჟუაზიას, რამაც დათმობის გზაზე დააყენა იგი აგრარიებისადმი რამაც ლუკმა პური მისცა ახალგაზრდა მუშათა კლასს და დაჩრდილა გადატრიალების იდეა. კონტრ-რევოლიუციის დღევანდელი ტალღა, რომელიც მთელ მსოფლიოს მოედო, ხასიათდება იმით, რომ იგი დამყარებულია არა მეურნეობის აღორძინებაზე, არამედ იმაზე, რომ იგი არის სასოწარკვეთილების გამოხატულება, ცდა ძალით შეაკავონ კაპიტალიზმის დაშლა. კონტრ-რევოლიუციას არ ძალუძს პურისა და ზავის მიცემა. აი რატომ არ შეიძლება იყოს იგი ხანგრძლივი.

თავდაცვის ტაქტიკა.

ამ რიგად ჩვენ გადავდივართ საკითხის მესამე ნაწილზე—საკითხზე მუშათა კლასის მიერ თავდაცვის შესახებ. ჩვენ, ამხანაგებო, არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენ უკვე კარგათ გავიგეთ მომენტის მოთხოვნილება. შარშან, როდესაც კაპიტალის შემოტევა განვითარდა მთელი თავისი სიგრძე-სიგანით, ჩვენ ვლაპარაკობდით პროლეტარიატის შეტევის შესახებ. მაგრამ ჩვენ მაინც პირველები გამოვედით სცენაზე, რათა მოგვეწყო პროლეტარიატის თავდაცვა იმ ვარაუდით, რომ იგი ხელსაყრელ პირობებში გადასულიყო შეტევაზე.

მესამე კონგრესის შემდეგ, ჩვენ უფრო სისტემატიურად ვაკვირდებოდით მდგომარეობას და კომუნისტურმა ინტერნაციონალმა დაამტკიცა, რომ მას აქვს უნარი, ხელმძღვანელობა გაუწიოს პროლეტარიატის შეტევას, არამედ მის თავდაცვასაც.

დღევანდელი დროის დამახასიათებელია ის, რომ პროლეტარიატის ფართო მასებმა დაჰკარგეს რწმენა, ახლო მომავალში მუშათა კლასის მიერ ძალა უფლების ხელში ჩაგდებისა.

და შესაძლოა, იმისი შეგრძნობა, რომ მუშათა კლასის ძალა მცირდება, იყო ნამდვილი მიზეზი, რომელმაც გამოიწვია დამოუკიდებელთა სოციალ-დემოკრატებთან შეერთება. (ხმები მართალია). და ამიტომ ის მუშებიც კი, რომელნიც კოალიციის წინააღმდეგნი იყვნენ, მზად არიან შეურთდენ სოციალ-დემოკრატებს, რათა შეინარჩუნონ ძალაუფლების უკანასკნელი ნაშთები. თუ მდგომარეობა ასეთია, თუ მუშათა ფართო მასებში ძალაუფლებისათვის ბრძოლა, არა თუ აქტუალურია, არამედ უკანა რიგშია დაყენებული, მაშინ ძალაუფლების დაპყრობას, როგორც დღევანდელი მომენტის ამოცანა, არ შეიძლება დასმულ იქნას დღის წესრიგში, თუ კომუნისტები თვითეულ საკითხზე, თუნდაც საკითხზე კბილების სახელმწიფოებრივი მკურნალობის შესახებ, ლაპარაკობენ, რომ მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის დროს კბილების დათხრა უმტკივნეულოთ შეიძლებაო (სიცილი), ამას ექნება მხოლოდ პროპაგანდული ხასიათი, მაგრამ სრულიად ვერ შესცვლის იმ ფაქტს, რომ ჩვენივე ამხანაგები, კომუნისტი მუშები დარწმუნებულნი არიან იმაში, რომ ძალაუფლებისათვის ბრძოლა დღევანდელ მომენტში არ შეიძლება, მაგრამ, რომ იგი შესაძლებელი იქნება, მაგრამ არა ეხლავე.

აქედან გამომდინარეობს, რომ იმ შემთხვევაშიაც კი, თუ ჩვენ არ დავისახავთ პოლიტიკურ ამოცანებს ფართო მასებთან შეერთების შესახებ, და გავატარებდით ერთიანი ფრონტის ტაქტიკას, მაშინაც ჩვენ პირველ რიგში უნდა გვეწარმოებინა ბრძოლა იმ საკითხებისათვის, რომე-

ც უფრო აქტუალურია მუშათა ასისათვის—ეს საკითხებია: ხელ სი, სამუშაო დღე, საბინაო და შათა კლასის ყოველდღიური ცხოვრების საკითხები. თუ ჩვენ გვსურს მუნიზმის დროშის ქვეშ შემოვიიოთ ის მუშებიც, რომელნიც ჩვენ ვე დავკარგეთ, ჩვენ უნდა ვაწაროთ ბრძოლა ამ საკითხების ირვლივაც, უნდა ვსარგებლობდეთ ამ კითხებით კომუნისტური პროპაგანისათვის და ვშლიდეთ რევოლიუიონურ პერსპექტივებს. მაგრამ მუშა ედავს ფაბრიკაში, რწმუნდება ყოვლ გაფიცვის დროს, რომ მას არ ეუძლია იბრძოლოს თავის უახლოეს ასიცოცხლო ინტერესებისათვის, თუ ვე არ შეუერთდება სხვა მუშებს. ედავს მეტი. ის ხედავს, რომ მუშეი, პარტიის მიუხედავად, ერთსულოვანი არიან ამ საკითხებში. ამ ჟამად რა აიძულებს მუშებს დარჩენ ჩვენ პარტიაში,—ეს არა ჩვენი შორეული მიზნები, არამედ გრძნობა, რომ ჩვენ ვართ ის ელემენტი, რომელიც ვაერთიანებთ მუშათა კლასს.

როგორ უნდა გავატაროთ ერთიანი ფრონტის ტაქტიკა.

მეორე საკითხი მდგომარეობდა იმაში, თუ როგორ უნდა გავატაროთ ერთიანი ფრონტის ტაქტიკა, გავატარებთ იმას, ისე, რომ მივმართავთ პროლეტარიატის ფართო მასებს მოწოდებით, რათა იბრძოლონ კომუნიზმის დროშის ქვეშ, ვეტყვით, რომ ჩვენ უარს ვამბობთ ყოველგვარ მოლაპარაკებაზე პროფკავშირებთან და ზედა ფენებთან. ამ საკითხის ელემენტარული განხილვაც კი ამტკიცებს ერთიანი ფრონტის გატარების ასეთი სისტემის უაზრობას. მუშებმა, რომელნიც შედიან შემთანხმებელთა პარტიაში იციან, რომ მათი პარტია წინააღმდეგია დიქტატურის, და მაინც ფიქრობენ, რომ ის იცავს მათ ინტერესებს, და სწორეთ ამიტომ რჩებიან ისინი სოციალდემოკრატიულ პარტიაში. თუ ეს მუშათა მასები დარწმუნებულნი არიან, რომ შეიდემანს და პროფკავშირთა წინამძღოლებს სურთ იბრძოლონ რვა საათის სამუშაო დღის სასარგებლოდ, ისინი შეგვეკითხებიან ჩვენ: ,,დიახ, დიდი მნიშვნელობა აქვს ერთად ბრძოლას, მაგრამ ელაპარაკეთ თქვენ ამის შესახებ შეიდემანს?‟

და ჩვენ მათ უპასუხეთ:

,,აი როგორია თქვენი შეიდემანი‟. საჭიროა აღვნიშნოთ, რომ განსხვავება ჩვენსა და რეფორმისტებს შორის მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ მხარს უჭერთ პროლეტარიატის დიქტატურას, ხოლო ისინი წინააღმდეგი არიან ამის. თუ ჩვენ რეფორმისტებს სახელს გაუტეხთ, თუ ჩვენ ფაქტებით დაუმტკიცებთ მასებს, რომ მათ არა სურთ ბრძოლა, მაშინ ერთიანი ფრონტის ნიადაგი მომზადილი იქნება ქვევიდან.

ჩვენ პარტიაში არის უცნაური ხალხი, რომელსაც ეშინია, რომ ჩვენ, შესაძლოა, არ შეგვიძლია რეფორმისტების გამოაშკარავება, რომ შესაძლოა ისინი ჩვენთან ერთად იბრძოლებენ. მე ვფიქრობ, რომ ყველა, ვინც საღად აზროვნობს, კმაყოფილი იქნებოდა, თუ რეფორმისტები მოისურვებდენ ბრძოლას. და როდესაც რეფორმისტები გვ საყვედურებენ, რომ ჩვენ მათთან მუხანათურად მივდივართ, რომ ჩვენ გვსურს მათთვის ხანჯლის ზურგში ჩაცემა, ჩვენ უპასუხებთ: „ეს თქვენზეა დამოკიდებული‟. დაამტკიცეთ, რომ თქვენ გინდათ ბრძოლა, და მაშინ დადგება მუშათა კლასის გაერთიანების მომენტი. ჩვენ ამისი არ გვეშინია‟.

სამი ინტერნაციონალის კონფერენცია.

ჩვენ გამოვცხადდით 3 ინტერნაციონალის აღმასკომების კონფერენციაზე, იმ მიზნით, რომ მოგვეწყო პროლეტარიატის ერთიანი ფრონტი, რათა საშუალება მიგვეცა პროლეტარიატისათვის, თუ კი არ გადავიდოდა კონტრ-შეტევაზე, თავისი პოზიციები მაინც დაეცვა. ეს გეგმა უშედეგოთ დამთავრდა. მან განიცადა მარცხი არა მსოფლიო კონგრესის საკითხის გამო, არამედ იმიტომ, რომ 2 და 2 ნახ. ინტერნაციონალებმა დაუპირდაპირეს ჩვენ თავდაცვის გეგმას თავიანთი სპეკულიაციური ზრახვები. რუსეთის საკითხმაც დიდი როლი ითამაშა ამ კონფერენციაზე და მე ეხლავე შევეხები ამას.

2 და 2 ნახ. ინტერნაციონალების სოციალ-დემოკრატებმა მოგვთხოვეს შემდეგი: მიეცით ლეგალურად მენშევიკების და ესერების პარტია, და მაშინ დაუჭერთ მხარს საბჭოთა რუსეთს. რას ნიშნავს? რისთვის იბრძვის საბჭოთა რუსეთი? საბჭოთა რუსეთი იბრძვის ქარხნების და მიწის მუშათა სახელმწიფოს ხელში დატოვებისათვის. ხოლო როგორია მენშევიკების და ესერების პროგრამა? მენშევიკებმა გამოაქვეყნეს ამ ჟამად თავიანთი პროგრამა მარტოვის წერილებში. იგი მოითხოვს კაპიტალისტებისათვის საკუთრების დაბრუნებას წარმოების ნაციონალიზაციის უარყო რუსეთში კაპიტალიზმის განვითარებას". ამგვარად, 2 და 2 ნახ. ინტერნაციონალები მზად არიან დახმარება გაუწიონ საბჭოთა რუსეთს მხოლოდ იმ პირობით, რომ თუ უკანასკნელი ლეგალიზაციას მიანიჭებს იმ პარტიებს, რომელთა პროგრამაში მოითხოვს საბჭოთა რუსეთის კაპიტულიაცია. ამაში მდგომარეობს მათი პროგრამა. რუსეთში სოციალიზმისათვის ბრძოლაზე ხელის აღება, ვინაიდან როგორც მარტოვი ამბობს, რევოლიუცია მთელ ხაზზე უკუგდებულია. ამიტომ ჩვენ 2 და 2 ნახ ინტერნაციონალების წინადადებას უპასუხეთ: „გვამორიცხეთ, თუ შეიძლებოდეს, რუსეთის საკითხი, წინაღმდეგ შემთხვევაში ჩვენ არ გვინდა თქვენი დახმარება‟.

ბერლინის მოლაპარაკების ჩაშლის აზრი.

როგორი იყო მდგომარეობა სხვა ქვეყნებში? როდესაც ჩვენ ვლაპარაკობდით 8 საათის სამუშაო დღის შესახებ და როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ ხელფასის შემცირებას წინააღმდეგ ბრძოლის წარმოების შესახებ, შემთანხმებელნი გვიპასუხებდენ: ,,ჩვენ ვერ წამოვალთ თქვენთან ერთად მანამ, სანამ თქვენ არ გაუშვებთ პროფინტერნს‟. ეს ნიშნავდა რას? მანამ სანამ ჩვენ არ ვიტყვით უარს ბრძოლაზე პროფკავშირთა ბიუროკრატიას წინააღმდეგ, რომელმაც ყველა ქვეყნებში დასთმო 8 საათის სამუშაო დღე, რომელმაც გერმანიაში გაატარა მემადნეობის სამუშაო დღის გადიდება, რომელმაც უღალატა ინგლისში სამთამადნო მუშათა ბრძოლას. ბერლინის მოლაპარაკების ჩაშლის სოციალურ პოლიტიკური აზრი შემდეგში მდგომარეობს: ,,ჩვენ ჩავედით თავდაცვის გეგმით, ხოლო მოწინააღმდეგეებმა მოგვთხოვეს ჩვენ, რათა კომინტერნმა და მის მიმდევარ მუშათა კლასმა ხელი აიღო ბრძოლაზე‟. 2 და 2 ნახ. ინტერნაციონალის წინამძღოლებს არ სურდათ ბრძოლა, და ამიტომ ჩაიშალა ერთიანი ფრონტი.

ჩვენ ვაცხადებთ: ,,ჩვენ არ ვამბობთ უარს ბრძოლაზე, მუშათა კლასის ერთიანი ფრონტის ქვევიდან განხორციელების გეგმაზე. ჩვენ ყოველ ძალ ღონეს ვიხმართ ამხ., გეგმის სისრულეში მოსაყვანად‟.

სოციალ-დემოკრატიულმა წინამძღოლებმა იციან, რომ ამ ბრძოლის პირველი შედეგი იქნება ბურჟუაზიასთან კოალიციის დაშლა, და მაშინ ისინი იძულებულნი იქნებიან დასტოვონ კოალიცია, როდესაც ძალაუფლება სტინესის, ინგლისის კონსერვატორების, და პუანკარეს ხელში გადავა. მდგომარეობა ისე ნათელი გახდება, რომ მასები მათაც აიძულებენ დაიწყონ ბრძოლა. და ისინი სასტიკად იბრძოლებენ ერთიანი ფრონტის წინააღმდეგ, მაგრამ ჩვენ უნდა ვიმუშაოთ იმავე მიმართულებით, რომ ისინი იძულებულნი გახდენ უარი სთქვან თავის პოზიციებზე. და თუ მაისში ბერლინში მათ მოახერხეს ერთიანი ფრონტის განხორციელების ცდისათვის საბოტაჟის გამოცხადება, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ არ გვქონდა საშუალება ფართო აგიტაცია გვეწარმოებია მასებში ამ იდეის სასარგებლოდ. ჩვენი ზეგავლენა გერმანიაში საკმარისი არ იყო. საფრანგეთის და იტალიის ამხანაგები საქმით არ აწარმოებდენ ერთიანი ფრონტის პოლიტიკას. და ჩვენც უნდა მივსცეთ ჩვენს თავს ანგარიში, რომ პროლეტარიატის ერთიანი ფრონტის სასარგებლოთ ბრძოლას ჩვენ თითონ არ ვაწარმოებთ ერთიანი კომუნისტური ფრონტით.

მოწინააღმდეგეთა ფრონტის დარღვევის პირობები.

ჩვენ უნდა გავაძლიეროთ და გავაღრმავოთ ჩვენი კამპანია ერთიანი ფრონტის სასარგებლოთ, მაგრამ ჩვენ მაინც შეიძლება ვერ მოვახერხოთ, ვაიძულოთ რეფორმისტების გაერთიანებული ინტერნაციონალი ჩვენთან ერთად იბრძოს საერთაშორისო მასშტაბით, მაგრამ ჩვენ გავარღვევთ მოწინააღმდეგის ფრონტს და გავარღვევთ, უწინარეს ყოვლისა, იმ ადგილას, სადაც მუშათა კლასის ზედ დაწოლა უფრო ძლიერია. და თუ რეფორმისტები არ განახორციელებენ ჩვენთან ერთად საერთაშორისო ფრონტს მით უფრო უარესი მათთვის: ვერ მოაშორებენ ისინი ბურჟუაზიის ეტლიდან ჩამოხტომას და მასთან ერთად გადაიჩეხებიან უფსკრულში. თუ ჩვენ თავდაპირველად [illegible] ხელფასის გადიდების და 8 საათის სამუშაო დღის დაცვის მოთხოვნილებით და ამ მოთხოვნილებებში ჩვენ შევხვდებით თანაგრძნობას უპარტიო მუშებს შორის, ბრძოლის განვითარებასთან ერთად ჩვენ დადგება რიგში პოლიტიკურ და სოციალურ ხასიათის ლოზუნგების წამოყენება. აი, სწორეთ ამ მომენტში ჩვენ თვით გადავალთ თავდაცვიდან შეტევაზე.

ჩვენ წამოვაყენეთ ეს ლოზუნგი უკვე მეორე კონგრესზე ეს პირველ ყოვლისა არის ლოზუნგები წარმოებაზე კონტროლის დაწესების შესახებ. იგი თარაზმავს მასებს და უსხავს [illegible] ფილდენ მით, რომ წამოაყენონ ეს ლოზუნგები ხელსაყრელ პირობებში, რომელიმე კონგრესზე და გახადონ იგი თავიანთი ბრძოლის ცენტრად. ეს ლოზუნგი გასაგებია მასებისათვის ვინაიდან აძლევს მათ საშუალებას შეზღუდონ ფუფუნების საგანთა წარმოება, განსაზღვრონ ბურჟუაზიის გადასახადებით დაბეგვრის ხარისხი. სახელმწიფოს მიერ ბურჟუაზიის რეალურ ღირებულებათა ხელში ჩაგდების ლოზუნგიც აგრეთვე განუხორციელებელია მუშათა კონტროლის გარეშე. ეს საკითხი აქტუალური იქნება არა მარტო გერმანიაში. ვალიუტის დაცემის დროს იგი გახდება ბრძოლის მთავარ პუნქტად იტალიაში, საფრანგეთში და სხვა ქვეყნებში.

მუშათა მთავრობა.

მე გადავდივარ ეხლა იმ საკითხზე, რომელიც დიდ როლს თამაშობს ჩვენ ბრძოლაში კაპიტალის შემოტევის წინააღმდეგ. ეს არის მუშათა მთავრობის საკითხი, რომელსაც ამხ. ზინოვიევმა დიდი ადგილი დაუთმო თავის მოხსენებაში. საჭიროა გავარკვიოთ, თუ როგორ ესმით მუშათა ფართო მასებს მუშათა მთავრობის ლოზუნგი. ჩვენ უნდა გავარკვიოთ საკითხი რით არიან დაინტერესებულნი მუშათა მასები პოლიტიკური და პრაქტიკული თვალსაზრისით. მუშათა კლასი ვერ შესძლებს ძალაუფლების შენარჩუნებას სამოქალაქო ომის გარეშე, იმ უბრალო მიზეზების გამო, რომ ბურჟუაზია არ დასთმობს ძალა უფლებას უბრძოლველად. ზოგიერთი ამხანაგები შიშს გამოსთქვამენ, რომ ჩვენი მუშათა მთავრობაში შესვლა შექმნის ისეთ მდგომარეობას, როდესაც ჩვენ უარი უნდა ვსთქვათ კომუნიზმზე. მე ვფიქრობ, რომ იქ, სადაც მუშათა მთავრობა შეიქნება, ის იქნება პროლეტარიატის დიქტატურის დედა ბოძი, იმიტომ რომ ბურჟუაზია ვერ მოითმენს მუშათა კოალიციას, რომელიც დემოკრატიულ საფუძვლებზე მუშაობს და აქ სოციალ-დემოკრატიული მუშა უნდა გახდეს კომუნისტი, მან უნდა დაიწყოს სამოქალაქო ომი, რომ თავისი ბატონობა დაიცვას ამიტომ მე ვფიქრობ, რომ აქ ჩვენ არავითარი საფრთხე არ მოგველის.

მომენტი, როდესაც მუშები მზად იქნებიან დაიწყონ ბრძოლა მუშათა მთავრობისათვის და წარმოებაზე კონტროლის დაწესებისათვის, იქნება ჩვენი მომავალი შეტევის მომენტი, ვინაიდან შეტევა იწყება მაშინ, როდესაც იწყება ბრძოლა ახალი პოზიციების დასაჭერად.

ჩვენი აგიტაციის ხასიათი.

მარტის ამბების დიდი შეცდომა იყო ის, რომ ჩვენ შევეცადეთ შეგვეცვალა ფართო მასების ბრძოლა ჩვენი პარტიის ნებისყოფით. ჩვენი პარტიის ბრძოლა უნდა გამოიხატოს აგიტაციის და ორგანიზაციის იმ საშუალებით, რომლითაც ჩვენ მასებთან მივდივართ. და ეს მეტად დამახასიათებელია, რომ იმ ქვეყნებშიაც სადაც არსებობენ საუკეთესო ჩვენი პარტიები, ჩვენ აგიტაციას აბსტრაქტული ხასიათი აქვს და არ არის გამსჭვალული იმ ადამიანების თავდავიწყებით, რომელნიც დარწმუნებული არიან, რომ ისინი იბრძვიან ნამდვილად მისაღწევ მიზნებისათვის. ჩვენმა პარტიებმა პრაქტიკაში სულ სხვა პოლიტიკა უნდა აწარმოვონ. საჭიროა შეტანილ იქნეს ცვლილებები არა მარტო ჩვენ პოლიტიკაში, არამედ კიდეც გავაძლიეროთ ბრძოლის ენერგია. კაპიტალის შემოტევის საკითხის განხილვის დროს, ჩვენ პირველ ყოვლისა უნდა ვაღიაროთ, რომ ვიდრე ჩვენ ამ ცვლილებას გავატარებდეთ მასებში, ჯერ ეს ჩვენ რიგებში უნდა გავატაროთ.

კომუნისტური ინტერნაციონალი არის არა მარტო ძალა-უფლების და პირობის პარტია, არამედ ამ ძალაუფლებისათვის ბრძოლის პარტია და ამიტომ უაზრობა იქნება თქმა იმისა, რომ ჩვენ განვიცდით ერთ ადგილზე გაყინვის ხანას. ეს გადააქცევდა კომუნისტურ ინტერნაციონალს მუშათა მოძრაობის პარაზიტად, იმის მაგიერ, რომ იგი გადაიქცეს მის განვითარების ხელმძღვანელად. ჩვენ არ უნდა მივეცეთ სასოწარკვეთილებას რევოლიუციის მოლოდინში, არამედ მედგრათ ვიბრძოლოთ თვითეული ნაჭერი მიწისათვის. ყველა ჩვენ მსჯელობას მაშინ ექნება მნიშვნელობა, თუ ჩვენ შევიგნებთ, რომ კომუნისტური პარტიების მოწყობა დარბაზებში კი არ შეიძლება, არამედ ჩვენი ამოცანების პრაქტიკულ ბრძოლაში შესრულების გზით, და ის ვინც ხედავს წინააღმდეგობას ერთიანი ფრონტის ტაქტიკასა და ჩვენი პარტიის განმტკიცების და შეკავშირების პროცესებს შორის, მას არაფერი არ გაეგება კომინტერნის ამოცანებისა, მას არ გაეგება, რომ ჩვენთვის საჭიროა მაგარი პარტიები, თუ ჩვენ გვსურს ვიყოთ ერთიანი ფრონტის იდეების მატარებელნი.

(ამხ. რადეკი ათავებს თავის სიტყვას მთელი დარბაზის მქუხარე ტაშის ქვეშ).

ეკონომიური ცხოვრება

მდგომარეობა ტფილისის ბაზარზე.

ამერიკულ ფქვილზე ფასი დაეცა: ნელსონი—670—780. ერთ ტომარა ნელსონს აფასებენ 16 ოსმალურ. ქაღ. ლირას, მაგრამ ამ ფასში არ ყიდულობენ. ბაზარზე ბევრია ყუბანის ფქვილი, ბერძნების პატარა სავსეა ყუბანის ფქვილით, მაგრამ ფასები მტკიცეა.

ფასების აწევა მოსალოდნელია, ვინაიდან ბაზარზე დაჟინებით ლაპარაკობენ, რომ ყუბანში და სტავროპოლში ფქვილზე ფასი მატულობს. რამდენიმედ კლებულობს ფასი რაფინადის შაქარზე. დიდი მოთხოვნილება არის ფხვნილ შაქარზე. შეინიშნება ფასების აწევა მანუფაქტურაზე, განსაკუთრებით თეთრეულ საქონელზე, მაუდზე და შევიოტზე ფასები მტკიცეა მცირე მოთხოვნილების გამო. მომატებულია ფასები ლითონზე და ლითონის ნაწარმოებზე: სახურავ რკინა—ფასი აიწია 800—900-დე ფუთი. ინგლისური კალა—ფუთს აფასებენ 40 ოსმ. ქაღ. ლირას, ბაბიტი საზღვარ გარეთის ფუთი 1400 ათ., ლურსმანი—600 ათ. ფუთი, თეთრი ინგლისური თუნუქი—ფუთი 1200 ათ. ფასი უცვლელია ადგილობრივ და მარსელის საპონზე. დღეს ასეთი ფასებია: ყუბანის ფქვილი „სეიანკა‟ ფ. 380—400. „რაზმოლი‟—670—670, ამერიკული „ნელსონი‟—670—680. ადგილობრივი—240—250. სიმინდის 140—150. ადგილობრივი ხორბალი 200—230. ქერი—125—130. სიმინდი—100—110. შაქარი რაფინადი ჰოლანდიური ყუთი 3 ტომარა—5.700. ამერიკული ფხვნილი შაქარი ფუთი—1450—1460. სახარინი „სოსიფროსი‟ კილო—7,000. საპონი „ტოლე‟ ფუთი—1,150. მარსელის საპონი „მამალი‟ 50 კილო —4,000. დანარჩენი მარკების—3,900 მარმარილოს საპონი ფუთი—800—1020 ნარმა ს. ს. ს. „სოშ. გოლ‟ თოფი—4100—4120. რუსული ნარმა არშინი 54—55. საზღვარ-გარეთის ჩითი იარდი—32—36 პიასტრი. რუსული ჩითი არშინი 58—50. ინგლისური შევიოტი არშინი—5,50—6 ოსმალური ლირა. სატინი—50—52 პიასტრი სატინი ორ განიანი—120—130. შევიოტი უბრალო—200—500. მადეპოლამი თოფი 36 იარდი 2400 დან. რუსული მადეპოლამი არშინი—65 დან.

ფასები შაქარზე მოსკოვში.

შაქრის ტრესტმა დააწესა შემდეგი ფასები შაქარზე აქციზით: ფხვნილი შაქარი—11,200—11,300. 22 წლის საბჭოთა ფულის ნიშნებით. შაქარი რაფინადი 14 მან. ოქროთი კოტ. კომისიის კურსის მიხედვით.

ტფილისის ბირჟა.

ტფილისი. 9 დეკემბ. არა ოფიციალური ტფილისის ბირჟა 8 დეკემბრისათვის: ოქროს 10 მან —1,780,000 გირ. სტერლ. 1,310,000—1,326,000. დოლარი — 305,000—315,000. ოსმალური ქაღალდის ლირა—170,000—171,000. ფრ. ფრანკი—18,500-19,000. იტ. ლირა—11,500—11,120. ოსმალური ოქროს ლირა—1,430,000—1,440,000.

ბათომის ბირჟა.

ბათომი. 8 დეკემბ. ბათომის ოფიციალური ბირჟა: დოლარი—165—175 პ. გირ. სტ.—770—780 პ. ოსმალური ოქროს ლირა—760—770 პ. ოქროს 10 მან.—1,020—1.030 პ. 20 ფრანკი—225—235 პ. იტ. 20 ლირა 140—150 პ. ოსმალური ქაღ.ლირა—177,000—180,000 მანეთი ქართული ბონებით.

პროფესიონალური ბირჟა: გირვან. სტ—785—795 პ., ოქროს 10 მან.—1,040—1.050 პ., ოსმალური ოქროს ლირა—760—780 პ.

ვეფხი ტფილისის მიდამოებში

4 დეკემბერს, სოფ. ლელოვანში, რომელიც მდებარეობს ჩრდილოეთ-დასავლეთით 22 ვერსის მანძილზე ქ. ტფილისიდან, მოკლულ იქნა ვეფხი. წინადღით უკვალოთ დაიკარგა ამ სოფლის ხარი, შემდეგ მეორე დღეს დილით დაიკარგა ძროხა. ამ გარემოებამ დიდად შეაწუხა ადგილობრივი მცხოვრებნი. ოთხმა ადგილობრივმა მონადირემ: გიორგი წითურიშვილმა, ალექსი წიკლაურმა, იოსებ წიკლაურმა და სიმონ მექვაურმა გადასწყვიტეს აღმოეჩინათ ეს უხილავი მტაცებელი. იმავე დღეს, ბევრი ძებნის შემდეგ კვალით მიაგნეს ვეფხის ბუნაგს, რომელიც მას მოეწყო ახლო მდებარე ტყეში. მხეცმა, როგორც კი დაინახა ახლო მოსულნი მონადირენი, ელვასავით გამოვარდა ბუნაგიდან და ის იყო აპირებდა სასიკვდილო ნახტომს, როდესაც მას ერთბაშად ოთხივე მონადირემ დაახალა თოფები და მოსტეხეს უკანა ფეხი. ამ გარემოებამ გადაარჩინა ისინი ვეფხის ბასრი კბილებისაგან. მიუხედავად ასეთი მძიმე ჭრილობისა, საშინელი ნხეცი მაინც ცდილობდა მისწვდომოდა თავის მტრებს და ზევით აშვერილ თათებით ბზრიალასავით ტრიალებდა ჰაერში. ხოლოდ ათიოდე მძიმე ჭრილობის შემდეგ დალია სული.

ვეფხი ამ უკანასკნელ ასი წლის განმავლობაში არავის უნახავს საქართველოს საზღვრებში. ყველა ცნობილი ვეფხის ნახვისა საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში ეხებიან არა ვეფხს, არამედ კავკასიის Felis partus tubianus (Valen—დინამდვილებით შეიძლება ვსთქვათ, რომ მოკლული ვეფხი მოსულა ტალიშიდან) ლენკორანის მაზრა, ბაქოს გუბერნია, სადაც ის იმყოფება ბინადრად. ალბათ ვეფხი ნადირობდა გარეულ ღორებზე ჩალაკალმებში მტკვრის ნაპირებზე და ამ ნადირობამ გაიტაცა ის შორს. უნდა ვიფიქროთ, რომ მდინარე ხრამის ან დაალგეთის შესართავთან მან დასტოვა მტკვრის მიდამოები და გაჰყვა ამ ერთ-ერთ მდინარეს და შემდეგ მოხვდა სოფ. ლელოვნის მიდამოებში.

მოკლული ვეფხი წარმოადგენს მშვენიერ ეგზემპლიარს. ტყავის ფერი და მისი ნახატი, აგრეთვე მესამე ღრძილის ეგრეთწოდებული სიმხეცის კბილი მოწმობენ რომ, ის ეკუთვნის კასპიის რასას — Septeutrioriales ოქროს ფერი ტყავი დახაზულია შავი ზოლებით. ბალანი შუა ზომისაა. უზარმაზარი თავი კისერთან შემოსილია გრძელი ბალნით: ოთხი ვერშოკის სიგრძე. ტანის სიგრძე უდრის თითქმის 3 არშ. ნახევარს, (3 არშ. 32 სანტიმეტრ.).

ამ ჟამად ვეფხი გადაეცა მუზეუმის ტაქსიდერმიულ ლაბორატორიაში მომუშავე ტაქსიდერმისტ კ. კრილს გასაკეთებლად.

საქართველოს მუზეუმის ზოოლოგიურ განყოფილების გამგე **ივანე ჩხიკვიშვილი.**

ჟურნალისტების სექციაში

127 კაციდან, რომლებმაც შეავსეს ანკეტები, არ გატარებულა გაწმენდაში 47 კაცი. ეს არ იძლევა იმის საშუალებას, რომ გაწმენდა დამთავრებულად ჩაითვალოს და წიგნაკები დაურიგდეს ბეჭდვითი საქმის მუშაკთა სექციის წევრებს.

ამას გარდა მთელი რიგი ორგანიზაციულ მუშაობისა და აგრეთვე გაწმენდის დამთავრება ფერხდება მით, რომ ადგილობრივ არ მოიპოვებიან რწმუნებულები. ამის გამო სექციის პრეზიდიუმმა ორშაბათს, დილის 10 საათზე დანიშნა ყველგან ხელახალი არჩევნები რწმუნებულების. ხელახალ არჩევნებზე უნდა დაესწრონ ყველა მომუშავენი თვით ტეხნიკური აპარატითაც. არჩევნებამდე ბეჭდვითი საქმის მუშაკთა სექციის ბიუროს წარმომადგენელი გააკეთებს საინფორმაციო მოხსენებას. არჩევნების შემდეგ ბიურო შეუდგება პარტიულ და საბჭოთა დაწესებულებების საგამომცემლო განყოფილებათა აღრიცხვას.

ქრონიკა

სახ. კომისართა საბჭოში.

— **შუამდგომლობა** ტფილისის ქალაქის აღმასრულებელმა კომიტეტმა აღძრა შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რათა წყალსადენის საჭიროებისათვის, მიეცეს სესხად 850 მილიონი. აღნიშნულ მიზნისათვის საჭირო მასალები უკვე შეკვეთილი აქვს აღმასკომს უცხოელ ფირმებ-

— **ფოთის აღსადგენად.** ფოთის აღმასრულებელმა კომიტეტმა სახალხო კომისართა საბჭოში წარადგინა მოხსენება წყალდიდობისაგან გამოწვეულ ზარალის შესახებ მოხსენებიდან ირკვევა, რომ ძალიან დაზარალებულია ერთად-ერთი შარა გზა მდინარე რიონისაგან, რომელიც აერთიებს ქალაქს რკინის გზის სადგურთან. გზის ნაპირები საგრძნობლად მორღვეულია, რომელიც თანდათან ირღვევა, რაიც უქადის რკინისგზის ლიანდაგს საფრთხეს განადგურებით და რომელიც აგრეთვე ემუქრება ქალაქის წყალსადენს. თუ ეხლავე არ იქნა მიღებული ზომები საფრთხე საშიშ სახეს მიიღებს. ამ საფრთხის ასაშორებლად და მუშაობის ნაყოფიერ მსვლელობისათვის საჭიროა 100 კუბიკური საჟენი ქვა, 250 12 არშინიანი ბოძები და 200 მილიონი ფულათ, რისთვისაც ფოთის აღმასრულებელი კომიტეტი სთხოვს სახალხო კომისართა საბჭოს, რათა დაუყონებლივ გასცეს ბრძანება რკინის გზის სამართველოსადმი და საზღვაო-სატრანსპორტო საზოგადოებისადმი—თავს იდონ ხსენებული საქმისათვის, პირველმა საჭირო მასალების მიწოდება, ხოლო მეორემ აღნიშნული თანხის გაღება.

ქალაქის აღმასკომში.

— **ქ. გორში ამხ. კამოს სახელობის ყოფილ სახლის საჩუქრათ მიღება.** პრეზიდიუმმა დაამტკიცა წინადადება გორში ამხ. კამოს ყოფილ სახელობის სახლი საჩუქრათ მიღების შესახებ. ფორმალური მხარეების შესრულება მიენდო ამხ. ბაქრაძეს ნაჩუქრობის საბუთის შედგენით და დამტკიცებით. აღნიშნულ სახლის შესაკეთებლათ პრეზიდიუმმა აგრეთვე დაამტკიცა ხარჯთ აღრიცხვა 250 მილიონის რაოდენობით, რომლის შეკეთება დაიწყება ქალაქის სახლზე დამტკიცების შემდეგ.

— **ნემეცთა ბაღი.** პრეზიდიუმმა დაადგინა, ჩერქეზიშვილის ქუჩაზე მდებარე ნემეცთა ბაღი იქნას გაფართოებული საბჭოთა ქუჩამდე და დაერქვას ამხ. ჯაფარიძის სახელი, აგრეთვე გადატანილი იქნას ამხ. ჯაფარიძის ბიუსტი ჩერქეზიშვილის ქუჩიდან აღნიშნულ ბაღში.

განათლების კომისარიატში

— **განათლების მუშაკთა სახლი.** განათლების მუშაკთა სახლში გაიხსნა სახელოსნო, რომლის მიზანია მასწავლებლების მომზადება შრომის სკოლებისათვის შრომის საპედაგოგო პრინციპების მიხედვით. სახელოსნოს კურსებზე ამ ჟამად ითვლება 25 მასწავლებელი. კურსებზე მეცადინეობა სწარმოებს კვირაში სამჯერ.

— **ქუჩის ბავშვთა რიცხვი.** 1 ნოემბრისათვის ქუჩის ბავშვთა დამცველ საზოგადოების თავშესაფარში ირიცხებოდა 120 უპატრონო ბავში, ნოემბერში მიემატა 63, წლოვანებით 3—7 წლამდი, ეროვნების მიხედვით აღნიშნული რიცხვი ასეთია: 8 ქართველი, 17 სომეხი, 33 რუსი, 2 მუსულმანი, 2 ებრაელი. წერა-კითხვა არ მცოდნე არის—42 ბავში, მცოდნე—18. უდედმამო არის 47. ნოემბრის განმავლობაში საავადმყოფოში გაიგზავნა 11, ბავშვთა სახლში—34, მშობლებს დაუბრუნდათ 10, აღსაზრდელათ წაყვანილი იქნა 2.

დამზღვევ კასაში.

— **მთავარი დამზღვევი კასა.** მთავარმა დამზღვევმა კასამ მიიღო ფინანს. კომისარიატისაგან 1.500.000.000 მან. სახელმწიფო კმაყოფაზე არსებულ დაწესებულებათა მაგიერ ნოემბრის გამავლობაში. ხსენებული თანხა დაურიგდა საქართველოს ქალაქებსა და მაზრებს დანიშნულებისამებრ გასანაწილებლად.

— **შემოსავალი.** დამზღვევი კასის შემოსავალი ნოემბრის განმავლობაში უდრის 7 499 256 ათ. მან. ამ თანხაში შედის ნაშთი პირველ ნოემბრისათვის 855 521 ათ. მან. კასის საერთო ხარჯები გამოიხატა 7.396,340 ათ მანეთში, აქედან დახმარება მონაწილე ქალთათვის მშობიარობის დროს 139,011 ათ. მან., დახმარება კასის მონაწილეთა ცოლების მშობიარობისთვის [illegible] ათ. მან., კასის მონაწილეთა დაკრძალვისათვის 95,700 ათ. მან, მონაწილეთა ოჯახის წევრების დაკრძალვისათვის 68,700 ათ. მან, პენსია დასახიჩრებულთ, ინვალიდებს, ქვრივებს და ობლებს 369,209 ათ. მან., პროვინციის კასებს 375,000 ათ. მან., ჯანმრთელობის სახ. კომისარიატს 2 600 მილ. მანეთი საქართველოს დამზღვევ საბჭოს 1.488 ათ. მან., პირადი შემადგენლობის შენახვისათვის დახარჯულია 219,903 ათ. მან, რაც შეადგენს ხარჯების მთელი ჯამის 2,9 პროცენტს—1 1 დეკემბრისათვის კასაში ნაშთი გამოიხატება 102.916 ათ. მანეთში, ხოლო ამას გარდა სახალხო ბანკში შეტანილია 562 მილ. მანეთი.

აღმოსავლეთ საქ. რევ-ტრიბუნალში.

— **ცრუ ბრალდებისათვის.** თორმეტ დეკემბერს აღმოსავლეთ საქართველოს რევ-ტრიბუნალი გაარჩევს საქმეს ალექსანდრა ანდრიას ასულის ტერ-მოსესოვას (23 წლის) და ნესტორ გერასიმეს ძე ქელბაქიანის (28 წლის) შესახებ, რომლებსაც ბრალდებათ ცრუ საჩივარი მე-12 ტე უბნის მილიციის უფროსზე კონსტანტინე სანაყოევზე, თითქოს ამ უკანასკნელს ძალით გაეუპატიურებიოს აღნიშნული ნერსესოვას ქალი როცა ის დააკავა ორ ქალთან ერთად, რასაც ამავე უბნის მილიციელი ქელბაქიანი პირადი ინტერესით სანაყოევის მიმართ, ადასტურებს, რისთვისაც სანაყოევი რამდენიმე თვე იყო დაპატიმრებული, მაგრამ გამოძიებამ დაამტკიცა, რომ აღნიშნული მილიციის უფროსი სანაყოევი მართალი არის, რომ ბრალდება წამოყენებულია პირადი ინტერესით, რაშიაც დამნაშავე ნერსესოვას ქალი გამოტყდა, ხოლო ქელბაქიანი კვლავ იმეორებს აღძრულ საჩივარს.

— **საგანგებო კომისიის ლეგიონის რწმუნებულის შესახებ.** რევტრიბუნალმა მიიღო საქმე გადმოგზავნილი ბორჯომიდან შესახებ საგანგებო ლეგიონის რწმუნებულის გერმან კრასნოვზე, რომელსაც ბრალდება უზნეობა, ლოთობა და წესრიგის დარღვევა, რევ-ტრიბუნალმა აღნიშნული საქმე გადასცა საგამომძიებლო კომისიას, ხოლო თვით კრასნოვი დაპატიმრებული იქნა, რომლის საქმე გაირჩევა 11 დეკემბერს.

სხვა და სხვა.

— **ლატარიის გათამაშება.** დღეს, რუსთაველის თეატრში ნაშუადღევის 2 საათზე მოხდება საჯარო გათამაშება დრამატიული სტუდიის ლატარიისა. დასწრება ყველას შეუძლიან.

— **მისაბაძი მაგალითი.** „ჩემის‟ საზოგადოების საბჭომ დაადგინა დახმარების სახით გადასცეს „ქუჩის ბავშვთა სახლის‟ მომწყობ კომისიას 25 გირ. სტერლინგი‟.

◆ **ქიმიის სახელმძღვანელო ტეხნიკუმებისათვის.** გამოვიდა ქართულ ენაზე განათლების კომისარიატის მიერ გამოცემული და ამ ჟამად არსებულ პროგრამების თანახმად შედგენილი სოხონოვი და ვერხოვსკის ქიმიის სახელმძღვანელო საქართველოს პირობების მიხედვით დართულ შენიშვნებით და დამატებებით.

◆ **საქ. წითელი ჯვრის დახმარება წყალდიდობისაგან დაზარალებულ მცხოვრებთადმი.** თანახმად საქ. წითელი ჯვრის საზოგადოების მთავარ სამმართველოს დადგენილებისა, გაგზავნილ იქნა დასავლეთ საქართველოში (ქუთაისის, სენაკის და ოზურგეთის მაზრებში) წყალდიდობისაგან დაზარალებულთათვის დასარიგებლად საცვლები, თბილი ტანსაცმელი და სხვა, დაახლოვებით მილიარდ მანეთზე მეტი ღირებულებისა.

ხელოვნება

— **იაკობ ნიკოლაძის იუბილე** ორშაბათს, 11 დეკემბერს, რუსთაველის თეატრში გაიმართება ერთად-ერთი ქართველი მოქანდაკის იაკობ ნიკოლაძის იუბილე მისი ამ დარგში 25 წლის ნაყოფიერ მოღვაწეობის აღსანიშნავად საიუბილეო ზეიმს გახსნის ხელოვნების კავშირების მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე კოტე მაყაშვილი. პირველად სიტყვებს იტყვიან ნიკოლაძის შემოქმედებაზე, ივანე გომართელი, გრიგოლ რობაქიძე და ვახტანგ კოტეტიშვილი. შემდეგ დაიწყება მილოცვები და მისალმებანი. ამ დღეს, რუსთაველის თეატრში გამართული იქნება ნიკოლაძის ნამუშევართა გამოფენა. ამავე დღეს, სახელმწიფო ოპერის ბაღში დაიდგმება მისი გაკეთებული ქანდაკება აკაკი წერეთლის და გამოვა წიგნი ნიკოლაძეზე, იუბილიარის ქანდაკებების რეპროდუქციებით.

— **ახალი ოპერა.** ახალგაზრდა კომპოზიტორმა ალე მახარაძემ დასწერა ოპერა ,,მაია‟ ხუთ მოქმედებიანი, სპეციალისტების აზრით, ,,ოპერა‟ საინტერესოა, რომელიც წარმოდგენილი იქნება ახლო ხანში სახელმწიფო ოპერაში.

— **პავლე ინგოროყვას მოხსენება.** დღეს ხელოვანთა სასახლეში, გაიმართება ახალი მწერლობის მორიგი საღამო, რომელზედაც პავლე ინგოროყვა წაიკითხავს მეორე მოხსენებას რუსთაველზე (,,რუსთაველის გეოგრაფია‟) შესვლა 20,000 მან. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

— **რუსთაველის თეატრი.** დღეს, რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება მეორეთ ამ სეზონში გედევანიშვილის ორიგინალური პიესა-ზღაპარი ,,სინათლე‟ პირველი ნაწილი.

— **,,მეოცნებე ნიამორები‟.** გამოვიდა ,,მეოცნებე ნიამორების‟ მორიგი ნომერი (8) ვალერიან გაფრინდაშვილის რედაქტორობით. ჟურნალი დიდი ფორმატისაა და ღირს 40.000 მან.

— **პროფ კავშირების კლუბი.** დასრულდა საქ. პროფ კავშირების კლუბის შეკეთება და 9 დეკემბრიდან გაიხსნა სეზონი. სეზონის საინტერესოთაა რეპერტუარი შედგენილი და უმთავრესათ რევოლიუციონური ხასიათისაა.

მუშათა ცხოვრება

მუშათა და მოსამსახურეთა საყურადღებოდ

შრომის ექსპლოატატორების გასამართლება

პროფ. კავშირების საბჭოს დიდ დარბაზში (მუშათა სასახლე, რუსთაველის პროს. № 17, შესავალი ბარიათინის ქ.).

ხვალ, **კვირას, 10 დეკემბერს, დილის 10 საათზე** გაირჩევა საქმეები შრომის დაცვის კანონის დარღვევისათვის პასუხისგებაში მიცემულ მწარმოებლების.

საქმეს გაარჩევს სახალხო სასამართლოს განსაკუთრებული სესია. შესვლა თავისუფალია.

ამხანაგო მუშებო, დაესწარით და უყურეთ, თუ როგორ ასამართლებს საბჭოთა ხელისუფლება შრომის კანონების დამრღვევლებს და მუშების ექსპლოატატორებს.

ყოფილ ბოზარჯიანცის თამბაქოს ფაბრიკა

შედარებით კარგ პირობებში იმყოფებიან ამ ფაბრიკის მუშები. მათი მატერიალური მდგომარეობა საერთოდ უზრუნველყოფილია. კულტურულ-განმანათლებელი მუშაობაც კარგათ არის დაყენებული. განსაკუთრებულ ყურადღების ღირსია ამ ფაბრიკაში არსებული ძუძუმწოვართა თავშესაფარი და საბავშვო ბაღი. ეს ორი დაწესებულება უდიდეს დახმარებას უწევს აქაურ მუშებს. თავშესაფარს უჭირია ორი სრული და ნათელი ოთახი. ბავშვების სახის გამომეტყველება სიცოცხლით სავსეა. თავშესაფარში იღებენ ბავშვებს მხოლოდ ორ წლამდე, ხოლო ორი წლისაზე უფროსებს ათავსებენ საბავშვო სახლში.

თამბაქოს ტრესტი უდიდეს დახმარებას უწევს ამ ორ დაწესებულებას. საბავშვო ბაღში ბავშვები სწავლობენ: სიმღერას, ხატვას და ხელსაქმეს.

ბ. ქ.

საბჭოთა გამგის მეორე სართავი ფაბრიკა

ამ ქარხნის მუშებს პუქუში გვიხდება მუშაობა, მაგრამ თვით წარმოების სამუშაო ხასიათი ასეთია, ამას ვერ გავექცევით. სამწუხაროთ, ასეთ პირობებში აბანოს საქმე ძლიერ მოუწესრიგებელია. ჩვენს პირობებში მომუშავეს კვირაში ორჯერ მაინც უნდა აბანო. საერთოდ ადმინისტრაციასთან ჩვენი დამოკიდებულება კარგია. ადმინისტრაცია თავის მოვალეობას პირნათლად ასრულებს. შრომის ინსპექციის მოთხოვნილებებს ყურადღებით ეკიდება. წარმოებასთან არსებობს მუშებისათვის განსაკუთრებული სასადილო.

მატერიალურათ არ არის ჩვენი მდგომარეობა ცუდი, ამ მხრივ ჩვენ პირობებს თანდათან გაუმჯობესება ეტყობა. ჯამაგირს ყოველთვის თავის დროზე ვიღებთ. ჩვენს უკმაყოფილებას იწვევს მხოლოდ კატეგორიების საკითხი. ქალი და კაცი ერთ და იმავე სამუშაოს ვასრულებთ და ქალები რომ მესამე კატეგორიის ჯამაგირს იღებენ, კაცები მეშვიდე კატეგორიისას ვიღებთ. ვერ გაგვიგია თუ რათ უნდა არსებობდეს ასეთი განსხვავება.

ქ ნ.

მეფურნე-მეთორნეებში

ამ დარგის მუშა-მოსამსახურეები ძალიან ჩამორჩენილი ვართ კულტურულ ცხოვრებას. არც გაზეთი, არც თეატრი და არც სხვა კულტურული რამ ჩვენთვის არ არსებობს ჩვენი დარგის მუშიდან იშვიათ ვინმე იცის თავის ფურნის გარეშე რაიმე ამბავი. მუშური შეგნებაც ძალიან სუსტია ჩვენში. ჩვენს ინტერესებს ვერ ვიცავთ სათანადოთ. ჩვენი ასეთი ჩამორჩენილობით მოხერხებულათ სარგებლობენ ხაზეინები. გვამუშავებენ შრომის კანონების დარღვევით ზედმეტ საათებში, ანტისანიტარულ პირობებში, მცირე ხელფასში და სხვა.

ამ დღეებში ერთი საზღაპრო ამბავიც კი მოხდა. მეთორნე არჩვაძეს მჭედლების ქუჩაზე ეწვია შრომის ინსპექცია. შრომის ინსპექცია იმ დროს მივიდა, როდესაც მუშაობა არ უნდა ყოფილიყო დილის 5 საათზე. ელდა ნაკრავმა მეთორნემ სხვა რომ ვერაფერი მოახერხა, მოზელილი ცომი თავის პუქუან ქვეშაგებში დამალა.

ხსენებული თორნის პატრონი არც სხვა მხრივ იცავს შრომის კანონებს. მოსამსახურეები არა ყავს დაზღვეული და დასაზღვევი ფული არსად არ შეაქვს. არც საანგარიშო წიგნები აქვს შეძენილი და მუშებს ზეპირათ უსწორდება.

მაგრამ მარტო არჩვაძესთან არაა ეს ამბავი. ასეთ შემთხვევებს მეთორნე მეფურნეებში თითქმის ყველგან აქვს ადგილი. შრომის ინსპექცია ბევრს ვერას გახდება, თუ თვით ჩვენ მუშები არ გამოვიფხიზლებთ, არ გავალებთ თვალებს და მედგრათ არ დავიცავთ ჩვენს ინტერესებს. საჭიროა ამ საქმეზე ზრუნვა. უფლება მოვახმაროთ და ჩვენი სიგლახით თავს ნურავის დავაჩაგვრინებთ.

თორნეში მომუშავე ხ. პ.

„მწყალობელი" ვაჭარი

ზოგიერთი ვაჭარი, წარმოიდგინეთ, იმდენათ მადლიანი, მუშის შემბრალე და მწყალობელია, რომ მუშას იყენებს არა იმისათვის, რომ ის საჭიროა, არამედ ებრალება და საწყალს ლუკმა პურს აძლევს.

მაგრამ ვაჭრის ამ სიკეთეს დამფასებელი არა ყავს და უპირველეს ყოვლისა არ უფასებს მას შრომის დაცვის კომისია.

ასეთი მუშების შემბრალე ვაჭარია ფეხსაცმელების სამკერვალოს პატრონი ასლამაზოვი, რომელიც თავის სახელოსნოში ამუშავებს 14 წლის კირაკოზოვს. ასლამაზოვი „წყალობას" იღებს: აჭმევს და ასმევს კირაკოზოვს. ახლა შემოჩნდა შრომის დაცვის კომისია და, გინდა თუ არ გინდა, მას შრომის ხელფასი ტარიფით მიეცით, მასთვის საანგარიშო წიგნაკი შეიძინეთ. დასაზღვევი ფული შეიტანეთ.

ეს რა ხათაბალაა, ადამიანს სიკეთე უყავი და თქვენ რას მერჩითო. თუ ამდენ რამეს მომთხოვთ, სულაც არ მინდა მოსამსახურე და დავითხოვო,—იყო პასუხი სახელოსნოს პატრონისაგან.

ვინაიდან შრომის დაცვის კომისია არ უფასებს ამაგს ამ მუშების გამაბედნიერებელ ხაზეინს, სასურველია სახალხო სასამართლომ მიაქციოს ამ გარემოებას ყურადღება და მან დაუფასოს ღირსეულათ ასლამაზოვს თავის „შრომა და ამაგი".

გ. —ლი.

— გაზეთები იაკობ ნიკოლაძეზე. გამოვიდა გაზეთები „ბახტრიონი" და „ლომისი", რომლებშიდაც მოთავსებულია ნიკოლაძისადმი მიძღვნილი წერილები, მისი იუბილეს გამო.

— ხუმბათაშვილ - იუჟინის გასტროლები. რუსთაველის თეატრში მიდის რუსეთში ცნობილ მსახიობის სუმბათაშვილ-იუჟინის გასტროლები. პირველი გასტროლი შესდგა 7 დეკემბერს, წარმოდგენილი იქნა შექსპირის ტრაგედია „ოტელლო". ოტელლოს ასრულებდა თვით გასტროლიორი. სამწუხაროდ ბილეთები საგრძნობლად ძვირია, რაც საშუალებას არ აძლევს ფართე მასას, დაესწროს მის წარმოდგენებს.

— გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი. გამოვიდა გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი № 2.

— სახელმწიფო ოპერა. დღეს, კვირას, 10 დეკემბერს ერთ საღამოს ორი ოპერა: 1) ჯამბაზები მონ. ბოკოვა, აგრანოვსკი, ინაშვილი, კრივანოვსკი და სხ. და 2) ქეთო და კოტე.

პროვინციაში

შუა ქართლი უხიდოთ.

მცხეთიდან შეყოლებული ქ. გორამდე, მთელ ამ 53 ვერსის მანძილზე ვერსად ვერ ჰნახავთ მდ. მტკვარზე ურმით სავლელ ხიდსა. ძეგვის და გრაკლის რკინის გზის ხიდებზე მარტო ფეხით ახერხებენ ხოლმე ჩუმჩუმად გაპარვას. ამნაირად, ეს ორივე სანაპირო მტკვრისა—მარჯვენა და მარცხენა მოწყვეტილია ერთმანეთს.

მანდახან გლეხები, მართალია, მართავენ ხოლმე მტკვარზე კატარღებს, ნავებს, ბორნებს, გააბმენ კავშირს აქეთ-იქითა სოფლელები ერთმანეთთან, მაგრამ ყველა ეს დროებითია: მოვარდება უცბად გაგიჟებული მტკვარი და ყველა ამას ერთბაშად წალეკავს, აქჩალის მინდვრებში გაჰყრის და თანაც მიაყოლებს აუარებელ მსხვერპლს კაცისას და საქონლისას,—მაგ., როგორც წარსულ კვირეებში 14 კაცი დაახრჩო მტკვარში და წასტაცა სათესლე პურეული. და ასეთი მაგალითები არა წლობით ხდება, არამედ თვეობით და ხშირად უფრო კვირა და კვირაც. ვინ მოსთვლის თუ რამდენი ახალგაზრდა და მოხუცი კაცი დაუხრჩვია მტკვარს, რამდენი აკვნიანი ბავშვი, რამდენი დედაკაცი, რამდენი ურემი აუწეწლუბია, რამდენი სხვილ-ფეხა საქონელი, დადებული ძვის ურმები, ნახირი და სხვა. ისე დიდია მტკვრისაგან მიყენებული ზარალი, რომ მისი აღნუსხვა ძნელია.

ასე ხდებოდა უწინ წარსულ საუკუნეებში და ასევე ხდება დღესაც.

„სჯობს ერთხელ მსხვერპლის გაღება ნიადაგ დანანებასა".

ქართლის შუაგული ერთი უმჭიდროესად დასახლებული ადგილია, ეს არის მეურნეობის მრავალ დარგის ამამუშავებელი და თანაც მრავალ მუშა ხელის მიმწოდებელი, როგორც რკინის გზის ლიანდაგისა და სახელოსნოებისათვის, ისე სხვა კერძო ქარხნებისათვის. ასეთი სოფლებია—კავთისხევი, გომი, ნიაბი, ჩიჩეთი, ახალქალაქი, ახალციხე, ნოსტე, მეტეხი, ბარნაბაანთ კარი, სასირეთი, ქვემო და ზემო ხანდაკი, ყარელ ჯიხვლი, დოესი, ერთაწმინდა და მეორეს მხრივ—კასპი, ლამისყანა, ქელა, ნადარბაზევი, ზეგარდა, ნიგოზა, რენე, ნაწრეტი, შავშვები, ხურვალეთი და სხვა. გაღმა-გამოღმელ სოფლებს არამც თუ თავიანთი ნაოფლარი ვერ მიაქვთ ერთმანეთში გასაცვლელად, გასაყიდათ, არამედ ერთმანეთში ქალებსაც ვერ ათხოვებენ. და როდესაც ტირიფონის მინდორი და მის ირგვლივ მოსახლე სოფლები შეუერთდება მტკვრის მარჯვენა მხარეს საურმე ხიდით, მაშინ ნახეთ ბედნიერება ამ ორი მხარისა!.. დღეს კი გაჭირვებული გლეხი სხვაფრივ რომ ვერ ელევა საქმის, ან უნდა მტკვარს შეება ბედისწერით, ან უნდა 40 ვერსით უაროს გორის და მცხეთის ხიდით ერთმანეთში მასასვლელად.

ამას კი უნდა დრო, მთელი კვირაობით ურმით ხეტიალი, საქონლის და მუშა ხელის ზედმეტი მოცდენით, რაც არა სასურველია გლეხის ეკონომიურ კეთილდღეობისათვის. ამიტომაც არის, რომ შუაგულ ქართლის გლეხები ყველაზე მეტს მუშაობენ, ყველაზე მეტს იტანჯებიან, წვალობენ, მორბედის ხელის მუშაობასაც ვერ ელევიან, ვერ იშორებენ მათ გუთან ურმიდან და შვილები ურჩებათ შკოლას გარეშე უსწავლელად.

საბჭოთა მთავრობა, რომელიც მართლა დაინტერესებულია ნამდვილად საწყალი სოფლის გლეხის ეკონომიური კეთილდღეობა აწიოს და ცოტაოდენად გონებრივაც გამოაფხიზლოს, სამწუხარო მოვლენას—უხიდობას—უსათუოდ ყურადღება უნდა მიაქციოს; მან უნდა ეს ორი ერთმანეთისაგან მოწყვეტილი მხარეები ერთმანეთთან შეაერთოს.

შუაქართლელ გლეხს სიმწვავე ამ საკითხისა დიდი ხანია გათვალისწინებული აქვს მთელი თავისი სიფართოვით და მზად არის ყოველგვარი გასაღები გაიღოს მუშით, ურმით, ფულით, ჰინახულით,—ოღონდ ერთხელ და სამუდამოდ თავი დააღწიოს ხალხის მყლაპავ ვეშაპს—მტკვარს.

არც ისე ძნელია ეს საქმე, მეტადრე ჩვენი საბჭოთა ხელისუფლებისათვის, უმაღლეს სამეურნეო საბჭოსათვის, რომელმაც ამგვარ დარგში უკვე სახელი მოიპოვა ჩვენ გლეხის გულში.

„საბჭოთა მთავრობა უეჭველად მოგვხედავს"—გაიძახიან სხვა და სხვა სოფლის გლეხები, ერთად შეყრილნი—საჭიროა მეთაურობა და ცოტაოდენი ხარჯის გაღებაც მთავრობის მიერ და იქ, სადაც ერთსულოვნებაა ხალხში, იქ ყველა დაბრკოლებაც დაიძლევა.

დროა ეხლა მაინც ვეშველოთ სოფლებს, თორემ როდემდის იყვნენ საცოდავნი ასეთ ტანჯვა წვალებაში, როდემდის აძლიონ ადამიანთა ლეშები გაუმაძღარ და შეუბრალებელ ვეშაპს—მტკვარს საჭმელად.

ნიკ. ბარნაბიშვილი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დეკრეტი № 14.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი—ათი ათას მანეთიანი ქართული ფულის ნიშნის გამოცემის შესახებ.

ფულის ტრიალისათვის დიდი კუპიურის საჭიროების გამო და აგრეთვე ფულისა და საქონლის ტრიალის გასაადვილებლად, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. გამოცემულ იქნეს სატრიალებლად 1922 წ. დეკემბრის 11 დან ფულის ნიშანი (ქართული ბონი) ათი ათასი მანეთის ღირსებისა.

2. ათი ათას მანეთიანი ღირსების ფულის ნიშანი (ქართული ბონი) იხმარება ყველგან საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში უკვე წინად გამოცემული ფულის ნიშნების თანაბრად, უთანასწორდება თავისი ღირსებისამებრ ათი ათას ქართულ მანეთს და სავალდებულოა მისაღებად სახელმწიფო დაწესებულებათა და კერძო პირთათვის.

3. ზემო აღნიშნული ღირსების ფულის ნიშნებისათვის (ქართული ბონისათვის) პასუხისმგებელია სახელმწიფო მთელი თავისი ქონებით და ყალბი ფულის ნიშნის დამზადებისათვის დამნაშავე დაისჯება კანონისამებრ სისხლის სამართლის წესით.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
მ. ორახელაშვილი.

ამიერ კავკასიის სოც. რესპუბლიკათა ფედერატიული კავშირის ფინანსთა კომისრის რწმუნებული საქართველოში **ბ. ბიბინეიშვილი.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. ხალარიძე.**

1922 წ. დეკემბრის 7.
თბილისი-სასახლე.

ცირკულიარულად

ყველა სამაზრო, საქალაქო და ავტონომიურ ერთეულთა აღმასკომებს.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში მიღებული ცნობებით ზოგიერთი მაზრისა და ქალაქის აღმასკომებს არ მოყავთ სისრულეში სახალხო კომისართა განკარგულებანი სანამ სათანადო განკარგულებას არ მიიღებენ შ. ს. ს. კომისარიატიდან და არ უწევენ აგრეთვე დახმარებას სხვა უწყებების მიერ მივლინებულ იმ თანამშრომლებს, რომელთაც თავის მანდატთან ერთად არა აქვთ შ. ს. ს. კომისარიატის მანდატიც.

ამის გამო საჭიროდ მიმაჩნია განვმარტო შემდეგი: თანახმად ს. ს ს. ცენტრ. აღმ. კომ დებულებისა სათემო და სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების ორგანიზაციის შესახებ ცენტრალური დაწესებულებანი მიმართავენ სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ თავიანთ განყოფილებებს მხოლოდ აღმ კომ. პრეზიდიუმის მეშვეობით (დებულება, მუხ. 27). სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი და მისი განყოფილებანი ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ შეასრულონ განკარგულებანი სახალხო კომისრებისა საქვემდებარო განყოფილებათა შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაცემული განკარგულება პირდაპირ ეწინააღმდეგება სახალხო კომისართა საბჭოს და ცენტ. აღმ. კომ. დადგენილებებს და როცა შეჩერება განკარგულებისა ხდება აღმასკომის პასუხისმგებლობით სასამართლოს წინაშე, (თანახმად ს. ს. ს. რ. კონსტიტუციის მე-58 მუხლისა), ამიტომ ყოველგვარი კანონიერი განკარგულება სახალხო კომისართა თავის ხელქვეით განყოფილებების მიმართ უნდა შესრულებულ იქმნეს დაუყოვნებლივ აღმასკომის მიერ და შ. ს. ს. კომისარიატის დასტური ამ შემთხვევაში სრულებით საჭირო არ არის. სრულიად საკმაოა აგრეთვე იმ ცენტრალურ დაწესებულების მანდატი, რომელიც გზავნის თანამშრომელთ, ასეთი მანდატის მქონე პირს კანონიერი ადმინისტრატიული დახმარების აღმოჩენისათვის არ არის საჭირო შ. ს. ს. კომისარიატის არც სპეციალური განკარგულება და არც მისი მანდატი.

ვაცხადებთ რა ამას, წინადადებას გაძლევთ ყოველთვის დაუყოვნებლივ მოიყვანოთ სისრულეში სავალ. კომისართა განკარგულება და ყოველ საჭირო დროს კანონიერი დახმარება აღმოუჩინოთ მათ თანამშრომლებსაც, რომლებიც მხოლოდ თავიანთ უწყების მანდატით იგზავნებიან პროვინციაში სამსახურის საქმეების გამო.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილე **ტალახაძე**
საქმეთა მმართველი **დ. ჩიქოვანი**

განცხადებები

ღრმად დაწუხრებულნი გუგული ნიკოლოზის ასული ლომინაძისა, საშა, ბესარიონი (რაშინი) სადიკო, სიო, გრიშა, ჯაბა იოსების ძენი ლომინაძეები მეუღლებითურთ და პაშა იოსების ასული ლომინაძე აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ

იოსებ ალმასხანის ძე ლომინაძის

გარდაცვალებას 7 ამა დეკემბერს

პირველის მეუღლის, ეხლოდ დანარჩენების მამის. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს ხუთ საათზე ქ. ქუთაისში ბალახვანის ქ. საკუთარი სახლი.

დაკრძალვა სამშაბათს 12 ამა დეკემბერს. მიცვალებულის ბინიდან გამოტანა ნაშუადღევის ოთხ საათზე. 635 2—2

რუსთაველის თეატრი
დღეს, 10 დეკემბერს
სინათლე
დასაწყისი სრულ 8 საათზე.
(კრ. 701—1—1)

სახელმ. აკადემ. თეატრი ოპერა.
კასსა ღიაა 11—3 ს. და საღამ. 6 წარმოდგენის დამთავრებამდე

დღეს, 10 დეკემბერს
ერთ საღამოს ორი ოპერა
ჯამბაზები,
ქეთო და კოტე
დასაწყისი სრულ 8 საათზე
მე-3 ზარის შემდეგ დარბაზში შესვლა აკრძალულია.
(კრ. 700—1—1)

სახალხო სახლი
დღეს, 10 დეკემბერს
პირველად ამ სეზონში წარმოდგენილი იქნება
I
იასონის ოჯახი
კომ. 2 მოქ. ივ. გომართელის.
II
გაცრუებული იმედები
კომ. 2 მოქმ. აზიანის.
(კრ. 702—1—1) რეჟისორი: შალვა დადიანი.

იყიდება სახლი
უმვილგვარი მოწყობილობით, ბაღით და თავისუფალი ბინით ქალაქის ცენტრში.
ვისაც სურს იყიდოს ან გაყიდოს, მან უნდა მიმართოს დავითლოვის ქუჩაზე № 3, ბინა 2, დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. რუსთაველის პროსპექტის მახლობლად. (339—1—1)

1923 წლის 25 იანვარს ქ. ჭიათურაში,
ადგილობრივ თეატრის დარბაზში,
დილის 11 საათზე შესდგება
ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა სააქციო საზოგადოების
აქციონერთა არა ჩვეულებრივი

საზოგადო კრება

განსახილველი საკითხები:

1. წესდების ზოგიერთ მუხლების შეცვლა.
1. მიმდინარე საკითხები.

გამგეობის თავმჯდომარე **ის. ხოფ. ვარაზაშვილი.**
გამგეობის მდივანი **ი. ზერეჟიანი.**

(632—3—3)

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის საფარმაცევტო
განყოფილება
ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის საფარმაცევტო განყოფილება ახლო მომავალში
ყოფილი ახვლედიანის
აფთიაქის შენობაში (რუსთაველის პროსპექტის და სამხ. ქუჩის კუთხე)
ხსნის მეორე
საწვრილმანო მაღაზიას
(706—5—1)

მეცხვარეთა ამხანაგობა

„მწყემსი"-ს

გამგეობა

აცხადებს წევრთა საყურადღებოთ, რომ 1923 წლის 23 იანვრისთვის (მველი სტილით 10 იანვარი), ქ. ტფილისში, დილის 10 საათზე

დანიშნულია

რწმუნებულთა წლიური კრება

თანახმად წესდების მე-19, 21, 24 და 25 მუხლ., განსახილველია:

1. ანგარიშების დამტკიცება 1921 წლ. პირველ თიბათვიდან 1922 წლ. პირველ მაისამდის.
2. გამგეობის, საბჭოს და სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3. მომავალი მოქმედების გეგმა და სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა.
4. საბჭოს დებულება და წესდების ზოგიერთი მუხლების შეცვლა და დამატება.
5. გასამჯელოს დანიშვნა გამგეობის, საბჭოს და სარევიზიო კომისიის წევრებისთვის.
6. ინფორმაცია ანგარიშების მდგომარეობისა 1922 წლ. 1 თიბათვიდან 1923 წლ. 1 იანვრამდის. საძოვრების საკითხი საქართველოში და სხვა მიმდინარე საკითხები.
7. ახალი წევრების დამტკიცება.
8. გამგეობის წევრის არჩევა თანახმად წესდების მე-31 მუხლ., კ. ნ. აფხაზის მაგიერ.
9. საბჭოს და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევნები თანახმად წესდების მე 39 მუხლ.

თუ წესდების 24 და 25 მუხლების თანახმად, დანიშნულ დღეს, წევრთა აღნიშნულ რიცხვთა დაუ წრებლობის გამო, კრება არ შესდგა, კრება მოწვეული არის 24 იანვრისთვის (ახალი სტილით), დილის 10 საათზე, იმავე საკითხების განსახილველათ, და ეს კრება კანონიერია, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

(3—2) „მწყემსი"-ს გამგეობა.

საქართველოს მონადირეთა კავშირი

აცხადებს, რომ 15 დეკემბერს საღამოს 5 საათზე ცენტრალურ მუშათა კლუბის ბინაზე (პლეხანოვის პრ.) შესდგება საქართველოს მონადირეთა კავშირის ტფილისის განყოფილების წევრთა

კრება

დღის წესრიგი: 1) საქართველოს მონადირეთა კავშირის მეორე დელეგატთა ყრილობაზე გასაგზავნ პირთა არჩევნები, 2) ინსტრუქციის ანუ მონადირეობის წესების გაცნობა.

მეორე კრება დანიშნულია იმავე დღის 6 საათზე, რომელიც ჩაითვლება კანონიერად, მიუხედავად გამოცხადებულ წევრთა რიცხვისა. (1—1

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— კვირას, 10 დეკემბერს, დილის 10 საათზე № 3 აუდიტორიაში ლენინის სახელობის პოლიტეხნიკუმში შესდგება ამხ. ნოვიკოვის სახალხო მოხსენება შემდეგ თემაზე:

„ოქტომბრის რევოლიუცია მარქსიზმის სასამართლოს წინაშე".

შესვლა უფასოა.

საქართ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის აგიტპროპი.

— კვირას, 10 დეკემბერს შესდგება სამეცნიერო-ფილოსოფიური წრის მორიგი სხდომა „განათლების მუშაკთა სახლი"-ს შენობაში (კოლუბნის ქუჩა № 3 გოლოვინსკის კუთხე) დასაწყისი საღამოს 6 საათზე.

— ორშაბათს, 11 დეკემბერს შესდგება მორიგი კრება მარქსისტული წრის ა. ესსენის ხელმძღვანელობით (რუსულ ენაზე) პარტიის მეორე რაიკომის შენობაში (მიხაილოვ. და კიროჩნი ქუჩის კუთხე) დასაწყისი საღამოს 6 საათზე.

— სამშაბათს, 12 დეკემბერს, შესდგება კრება მარქსისტული წრის ი. თალაკვაძის ხელმძღვანელობით (ქართულ ენაზე) ს. კ. პ. ტფილისის კომიტეტის შენობაში. დასაწყისი საღამოს 6 საათზე.

— სამშაბათს, 12 დეკემბერს, შესდგება კრება სტუდენტთა მარქსისტული წრის ნოვიკოვის ხელმძღვანელობით პოლიტეხნიკუმის მინერალოგიურ აუდიტორიაში. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ს. კ. პ. ტფილისის კომიტეტის აგიტპროპი.

— პარტიის გაწმენდის მე-4 რაიონულმა კომისიამ დაამთავრა წმენდა მთელს რაიონში და წინადადებას აძლევს ყველა წევრებს და კანდიდატებს, რომელნიც რაიმე მიზეზის გამო ვერ გატარდენ წმენდაში, სამი დღის განმავლობაში აღირიცხონ რაიკომში წმენდაში დამატებით გატარებისათვის.

— **ტფილისის კომიტეტის ქალთა განყოფილების სხდომა.** ტფილისის კომიტეტის ქალთა განყოფილების კოლეგიის სხდომა, მოწვეულ იქნება საჭიროების და მიხედვით. შემდეგი ამხანაგების შემადგენლობით: ტფილისის კომიტეტის ქალთა განყოფილების გამგე, მისი მოადგილე, ცენტრალური კომიტეტის ქალთა განყოფილების წარმომადგენელი, ტფილისის კომიტეტის საორგანიზაციო და სააგიტ. საპროპაგანდო განყოფილების, ახალგაზრდათა კომკავშირის ტფილისის კომიტეტის წარმომადგენლები და ამხ. ალექსანდროვა.

ტფილისის კომიტეტის ქალთა განყოფილების პლენუმის სხდომა გაიმართება ყოველ კვირაში შაბათობით დილის 9 საათიდან, შემდეგი ამხანაგების შემადგენლობით: ტფილისის კომიტ. ქალთა განყოფილების კოლეგიის წევრები, რაიონების ქალთა განყოფილებების გამგეები.

ქალთა განყოფილების
გამგე **დალნაია.**

— 2-ე რაიონის ქალთა შორის მუშაობის საწარმოებლად საქ. კომპარტ. ტფ. კომიტეტის ქალთა განყოფილება აგზავნის ამხ. ლიუბა კობახიძეს. ხსენებულმა ამხანაგმა უნდა მიმართოს ცნობების და დირექტივების მისაღებად 2-ე რაიონის ქალთა განყოფილების გამგეს ამხ. **ლიოზნიანსკის.**

ტფილისის კომ. ქალთა განყოფილების გამგე **დალნაია.**

პროფესიონალური

— სამშაბათს 12 დეკემბერს საღ. 5 საათზე მუშათა სასახლის ოთახში № 36 დანიშნულია მეორედ განათლების მუშაკთა კავშირის მარტოხელა (ოდინოჩკები) საზოგადო კრება წევრთა გასაწმენდათ. მარტოხელებთან ერთად გაიწმინდებიან აგრეთვე განსაკუთრებული კომისიის ანბანის მასწავლებლები უცოდინარობის სალიკვიდაციოთ.

დასწრება სავალდებულოა.

ვინც არ დაესწრება, მექანიკურად გამოირიცხება კავშირიდან.

— სამშაბათს, 12 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, საქ პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში შესდგება კავშირთა ცენტრალურ გამგეობის წევრთა მონაწილეობით საქ. პროფკავშირთა საბჭოსი

პლენუმი.

დღის წესრიგი:

1. კურორტების შესახებ,
2. უმ. სამ. საბჭ. მოხსენება,
3. მუშათა მთლიანი კოოპერატივის საპაიო კამპანიის შესახებ.
4. მიმდინარე საკითხები.

განსახილველათ დანიშნულ საკითხების მნიშვნელობის გამო საქ. პროფკავშირთა საბჭოს პლენუმის და კავშირების ცენტრალურ გამგეობების წევრთა დასწრება სავალდებულოა.

საქ პროფკავშირთა საბჭო მდივანი
გუგუშვილი.

განცხადება

ამ უკანასკნელ დროს ჩემდამი რწმუნებულ ტელეფონის ქსელის აბონენტები ჩემთან უშუალო მიმართვის მაგიერ დაზიანებულ ტელეფონისა და საზოგადო ტელეფონის კავშირის საკითხის გამორკვევის შესახებ მიმართავენ ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარს, მის თანაშემწეს ტეხნიკურ ნაწილში და სხვა და სხვა განყოფილებებს კომისარიატისას და ამით იწვევენ ზედმეტ მიმოწერას, რაც აფერხებს და აგვიანებს ტელეფონების შესწორებას და საერთოთ ყოველ გვარ აბონენტების მოთხოვნილების შესრულებას. ამის გამო ყოველივე გაუგებრობის ამოსაფხვრელად და თავიდან ასაცილებლად ამიერიდან ვთხოვ ყველა აბონენტებს თავიანთ განცხადებით მიმართონ:

1. დაზიანებულ ტელეფონების შესწორებისათვის „დაზიანებათა ბიუროში" ტელეფონი № 17—91.

2. ყოველ გვარ გაუგებრობის დროს: დროზე პასუხის გაუცემლობისათვის, გაერთებისათვის, შეერთებისათვის და შეუფერხებელი მოპყრობისათვის ტელეფონის ქსელის მოსამსახურეთა მხრივ პირადათ მე ან ტელეფონით № 17—28.

3. ცნობების მისაღებათ, რომელიც შეეხება ტელეფონებით სარგებლობის დადგმის, გადატან-გადმოტანის საფასურს კანცელიარიაში, ტელეფონი № 12—00 და

4. განცხადებებით: ტელეფონების დადგმის, გადატან გადმოტანის და მოხსნის შესახებ განცხადების სახით ჩემს სახელზე.

ტფილისის ცენტრალურ ტელეფონის ქსელის გამგე **ი. იანქოშვილი.**
9 დეკემბერი 1922 წ. (642—1—1)

რკ. გზ. ტფილისის კვანძის
სატრანსპ. მომხმარ. საზოგადოების
ურტპოს
მაღაზიებში მოითხოვეთ
საუკეთესო ღირსების
ბოსტნეულობის და ხილეულობის
კონსერვები
პამიდორო
ტომატი
საკუთარ ქარხანაში დამზადებული იყიდება წვრილათ
და ბითუმათ.
ბითუმათ იყიდება მაღაზიაში № 1 ვაგზლის ქუჩა № 3.
(606—3—3)

უმ. სამეურნეო საბჭოს
სახელმწიფო ღვინის
ტრესტი
ავჭალის ამხ. ლენინის სახელობის შუშეულობის ქარხანამ
დაიწყო მუშაობა
და ამზადებს ნახევრად თეთრი მინიდან სხვა და სხვა
ფორმის
ბოთლებს.
არის დამზადებული ბოთლები:
1/40—კონიაკის და არაყის;
1/20—კონიაკის;
1/100—1/200 სამონოპოლიო არაყის
მიიღება შეკვეთა ხარისხოვან ჭურჭლეულობაზე
შეკვეთები მიიღება უმ. ს. ს. სახელმწიფო ღვინის ტრესტში სასახლის ქ. № 6.
(691—5—3)

ქალ. თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის სამმართველოს განყოფილება

ამით აცხადებს, რომ თბილისის ქალ. მ. გ. მილიციის თანამშრომელთათვის

საჭიროა ფრიად სასწრაფოდ

დამზადდეს

700 ცალი ნაბდის ქურქები, აგრეთვე 700 წყვილი „ბოტინკები"

ვისაც შეუძლია 700 ცალი ქურქისათვის საჭირო რაოდენობის კარგი ხარისხის ნაბდისა და 700 წყვილი ფეხსაცმელის მოწოდება, ვთხოვთ გამოცხადდეს სამმართველოს განყოფილებაში—ლ. დუმბაძის ყოფ. ველიამინოვის ქ. № 7 და თან წარმოადგინოს შესაფერი ნიმუშები ნაბდისა და „ბოტინკებისა".

თბილისის აღმ. კომის სამმართველოს განყოფილება.
კრ. 699 3—2

დოქტორი გ. მეგრაბიანცი
„ყ. ასისტენტი ბერლინის უნივერსიტეტის კლინიკებისა"
შინაგანი და ვენერიული ავადმყოფობისა. რენტგენის სინათლის—ელექტრონის წამლობის კაბინეთი.
იღებს 9—12 ს. დღის და 5—7 ს. საღ.
ბებუთოვის ქუჩა № 23. 634 25—2

ქალაქ ტფილისში და მის მიდამოებში მყოფ ავტომობილის რეგისტრაციის შესახებ, ქალაქ ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის

სავალდებულო დადგენილება

27 ნოემბერი 1922 წ.

1. ქალაქ ტფილისში და მის მიდამოებში მყოფ ავტომობილის რაოდენობის გამორკვევის მიზნით, მოხდეს აღრიცხვა ყველა, როგორც მჩატე მავალის, აგრეთვე ტვირთმზიდავ ავტომობილებისა.

2. ევალება ყველა სახელმწიფო და კერძო დაწესებულებათ, აგრეთვე სამხედრო უწყებას, კავკასიის ცალკე არმიის ნაწილების გამოუკლებლივ და კერძო პირთ, გამოგზავნონ თავიანთი ავტომობილები აღმასრულებელ კომიტეტის ეზოში (თავისუფლების მოედანი) დანიშნულ დღეს და საათზე აღსარიცხავათ და სარეგისტრაციო მოწმობისა და ნომრის მისაღებად.

3. აღრიცხვას აწარმოებს კომისია, რომელიც აღრიცხვის დროს აღნიშნავს მატორის ძალას, ნომერს და მანქანის ფირმას.

4. ავტომობილის მეპატრონე ვალდებულია მიღებული ნომერი მიაკრას ავტომობილს როგორც უკან ისე წინ თვალსაჩინო ადგილას. სარეგისტრაციო და პირადობის მოწმობანი—კი თან უნდა ჰქონდეს შოფერს, რომელიც ვალდებულია ესენი წარუდგინოს აღმასრულებელ კომიტეტის აგენტს უკანასკნელის პირველ მოთხოვნილებისათანავე.

შენიშვნა: 1) დაბინდების შემდეგ მანქანის ნომერი განათებული უნდა იქნას უკანა ფარანით.

შენიშვნა: 2) რეგისტრაციის რიგს, სამხედრო მანქანებისას და ოკას ნაწილებისა ადგენს ქალაქის კომენდანტი აღმასკომის წარმომადგენელთან ერთად

5. ავტომობილები, რომელიც არ იქნებიან აღრიცხული ამისთვის დანიშნულ ვადაში და არ ექნებათ ნომერი და საღრიცხვო მოწმობა, ჩამოერთმევათ მეპატრონეთ მანამ მეპატრონეს არ გადახდება განსაზღვრული ჯარიმა.

6 თუ ავტომობილის მეპატრონეს დაეკარგა ნომერი და საღრიცხვო მოწმობა, ვალდებულია ეს გარემოება აცნობოს აღმასრულებელ კომიტეტს, რომელიც მას აძლევს ახალ ნომერს და საღრიცხვო მოწმობის დუბლიკატს სათანადო ღირებულების გადახდის შემდეგ.

შენიშვნა: 1) ნომრისა და საღრიცხვო ბარათის დაკარგვა უნდა გამოცხადდეს ოფიციალურ გაზეთში.

შენიშვნა: 2) ავტომობილების მეპატრონენი იხდიან თითეულ ცალ ნომერზე 70 ათ. მან. და მოწმობისათვის 10 ათ. მან.

7. ტფილისის ქალაქის მილიცია და აღმასკომის სხვა შესაფერი აგენტები ვალდებულნი არიან რეგისტრაციაში გაუტარებელი ავტომობილების მოძრაობა ქალაქში არ დაუშვან და ასეთები თუ აღმოჩნდება დააკავონ და გადმოგზავნონ აღმასკომის სამმართველოს განყოფილებაში.

8 თუ ავტომობილი გადავიდა ერთი პირიდან მეორე პირის მფლობელობაში, როგორც პირველი ისე მეორე მხარე, სახელმწიფო და წესებულებათა გამოუკლებლივ, ვალდებულნი არიან შეატყობინონ ეს გარემოება წერილობით აღმასრულებელ კომიტეტს, შესაფერ წიგნებში გასატარებლად.

9. ავტომობილის აღრიცხვა დაიწყება ამა წლის 11 დეკემბრიდგან დილის 9 საათზე.

1, 2, 3 სამილიციო რაიონები 11, 12 და 13 დეკემბერს.
4, 5, 6 და 7 „ „ 14, 15, 16 დეკემბერს.
8, 9 10, 11 და 12 „ 18, 19, 20 და 21 დეკემბერს.

10. დამნაშავენი ამ სავალდებულო დადგენილების შეუსრულებლობაში დაჯარიმებულ იქნებიან 5.000 000 მან. და ჯარიმის გადახდამდე—კი ჩამოერთმევათ ავტომობილი, რომელიც გადავა აღმასრულებელი კომიტეტის სარგებლობაში.

ქალაქ ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე **ლ. დუმბაძე.**
ქალაქ ტფილისის და მისი მიდამოების კომენდანტი **აბაშიძე.**
სამმართველოს განყოფილების უფროსი პრეზიდიუმის
(კრ. 688—3—3) წევრი **თაქთაქიშვილი.**

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის
საფარმაცევტო განყოფილება

პასკევიჩის ქუჩიდან

გადავიდა

კავკასიის ამხანაგობის სააფთიაქო საქონლის საწყობის ბინაზე.

(ევანგულოვის და ბროსეს ქუჩ. კუთხე).

(3—3)

ქ. ტფილისის გამასწორებელ სახლების ცენტრალურ
საავადმყოფოსაგან

ქ. ტფილისის გამასწორებელ სახლების ცენტრალურ საავადმყოფოში მყოფ, ქვემოდ ჩამოთვლილ პატიმრების გარდაცვალების შემდეგ დარჩა ნივთები, რომელიც წაუღიათ გარდაცვალებულთა ნათესავებს და ინახება საავადმყოფოს საწყობში.

ეს ნივთები არ წარმოადგენს მატერიალურ ღირებულებას
და ამიტომ,

თუ ნათესავები ასეთს არ წაიღებენ

1923 წ. 1 იანვრამდე,

1923 წ. 1 იანვრიდან აღარ შეინახება და 1 იანვრიდან შემოსული ყოველგვარი პრეტენზიები ნივთების შესახებ დარჩება უყურადღებოდ.

სია გარდაცვალებულ პატიმრების, რომელთაც დარჩათ ნივთები:
1) გალუსტ ალიჩარდოვი, 2) აბდულ-კურბან-ოღლი, 3) ალი ბუდკარაძე, 4) პეტრე ბურჯანაძე, 5) ვალი მუსტაფა ოღლი, 6) გრიგოლ ვადაჭკორია, 7) ივანე ვასილიევი, 8) სანდრო გაბარაშვილი, 9) გიორგი გოგაძე, 10) ლეონიდე გოგოლაშვილი, 11) ივანე გორილოვი, 12) ერვანდ გრიგორიანცი, 13) კონსტანტინე ჯანუაშვილი, 14) ივანე ძიძიაური, 15) გიორგი დოპიევი, 16) ფიდორ ეგორკინი, 17) არჩილ ყარალაშვილი, 18) იოსებ კიკუროვი, 19) მიხეილ კოლმიძე 20) მიხეილ კონურენკო, 21) ვლადიმერ კურტიძე, 22) შაქრო ლოტიაშვილი, 23) პეტრე მიხაილოვი, 24) მუსა ისმაილ ოღლი, 25) ისაკი პოლოსოვი, 26) გრიგოლ როლშევი, 27) ალექსი საბადაშვილი, 28) ალექსი სტეპანოვი, 29) ბეგლარ თელიშვილი, 30) ვლადიმერ თუპერიძე, 31) ჩალა დურია, 32) ფატა რაშიდ ოღლი, 33) პეტრე ფოკია, 34) ხამიდ მამედ ოღლი, 35) გრიგოლ ხარატოვი და 36) იაკობ ეიბათოვი.

ცენტრალურ საავადმყოფოს უფროსი
(კრ. 675—2—2) **ექიმი ვ. ციციანოვი.**

ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
სამკურნალო
საწოლი ოთახებით
დაარსებული
მიხეილ გედევანიშვილის მიერ
განაგრძობს ავადმყოფების მიღებას.
თბილისი, ყორღანოვის ქუჩა № 20, ტელ. 7—91.
304—25—20)

საკონსულტაციო
სამკურნალო კაბინეთი ბავშვთა ექიმების:
მედიცინის დოქტორის
ვ. ვ. შენგელიძის და ექიმი ქალის გ. დ. ხანცინის
ბავშვების მიღება ყოველ დღე (გარდა კვირისა) 1—3 საათამდე. ძუძუმწოვარ ბავშვების კონსულტაცია ოთხშაბათობით და შაბათობით 1—3 საათამდე ყოველგვარი გამოკვლევანი. კრუზენშტეინის ქ. № 1, გოლოვინსკის კუთხე. ტელეფ. № 18—14. (517—25—25)

ღვინის-სპირტის-კონიაკის სახელმწიფო
ტრესტი
ს. ს. ს. რ. სახალხო მეურ. უმაღლეს საბჭოს სახელმწიფო ღვინის ტრესტი
გამგეობა: ტფილისი, სასახლის ქ. № 6. ტელ. 16—52.
სახელმწიფო ღვინის ტრესტი აწვდის ყველას განუსაზღვრელად და დიდი რაოდენობით ნაწარმოებს მისი საკუთარი ქარხნების:
ქარხანა № 1. ყოფ. დ. ზ. სარაჯიშვილის—ლენინის ქ. № 30.
ქარხანა № 2. ყოფ. ამხ. „არგო" სი—ნიკოლოზის მოედ. № 13.
ქარხანა № 3. ყოფ. დ. ე. კალანდაძის—ვაგზლის ქ. № 5.
ქარხანა № 4 ყოფ. სოგომონოვის—გომი, გორის მაზრა.
ქარხანა № 5. ყოფ. პროტცერის—სოფ. აბასთუმანი, ზუგდიდის მაზრა.
ქარხანა № 6. ყოფ. სიხარულიძის—კამოს ქუჩა № 68.
ქარხანა № 7. ყოფ. ავჭალის შუშ. ქარ. ლენინის სახელობის—ქვემო ავჭალა.
ღვინის ტრესტის განკარგულებაში იმყოფება აგრეთვე ლაბორატორია ყოფ. ვილარეტისა.
ავჭალის შუშეულობის ქარხანა ამზადებს ყველანაირ შუშეულობას. მაგალითად: ბოთლები—კონიაკის, არაყის, ლუდის; ჭიქები—ჩაის, ღვინის, არაყის, ლუდის—სხვა და სხვა ფირმის; ნალბაქები—ჩაის. ხარძეზი გრაფინები; ბანკები—მურაბისათვის; ბანკები—თაფლისათვის.
„მეიდინგერის" ელემენტების ნაწილები
მილები—წყლის საზომი; მილები—ნავთის საზომი. აფთიაქის შუშები. ლამპის შუშები—სხვა და სხვა ზომის, კრუჟკები, მაზის შუშები და შუშეულობის სხვა და სხვა ნაწილები.
დაკვეთები მიიღება როგორც გამგეობაში, ისე ქარხანაში—ავჭალა.
ტრესტის არაყის გამოსახდელი და სარექტიფიკაციო ქარხნების ნაწარმოები
1. სპირტი რექტიფიკ. 95—96 გრ. (პურის და ჭაჭის)
2. არაყი პურის და ჭაჭის.
3. კონიაკები ყოფ. სარაჯევის ფირმის
„ „ „ O. C.
„ „ „ 4*
„ „ „ 3*
4. კონიაკები ყოფ. „არგოს"-ი
„ „ „ ფინ შამპან.
„ „ „ 4* 3 ასოთი
„ „ „ 3* 3 ასოთი.
იძლევა რა გარანტიას თავის ნაწარმოების მაღალ ღირსებაში, რომელსაც ქარხნის ეტიკეტებისა და სპეციალური იარლიყების გარდა აქვთ სახელმწიფოს ღერბი, სახელმწიფო ღვინის ტრესტი ებრძვის ასეთების სიყალბეში და ფალსიფიკაციაში შემჩნეულებს.
სპირტის და მაგარი სასმელების გატანა საბჭოთა საქართველოს საზღვრებიდან ხდება მხოლოდ სახელმწიფო ღვინის ტრესტის ნებართვით
სახელმწიფო ღვინის ტრესტი შეუდგა პორთვეინის და შამპანიურის დამზადებას.
კრახმალის ქარხანა, რომელიც ახლო მომავალში მოეწყობა (№ 6 ქარხანასთან) გამოუშვებს ბაზარზე საკუთარი წარმოების კრახმალს და დექსტრინს.
ქარხანა № 6 მომავალში გამოუშვებს ბაზარზე ლუდს და ხელოვნურ ყინულს, ხოლო ყოფ. ვილარეტის ლაბორატორია—მთავარ პრეპარატებს.
გამგეობა.
(კრ. 692—0—2)

ტირაჟი 10,000 ნ. ს. დ. ფ.

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პოლიგრაფიულ განყოფილების მე-2 სტამბა კრუზენშტეინის ქ. № 4.